მშრომელეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 4 აპრილი, 1944 წ. № 69 (7013). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა მთავრობა იუწყება, რომ წითელი არმიის შემტევმა ნაწილებმა, რომელნიც სდევნიან გერმანიის არმიებს და მათს მოკავშირე რუმინელთა ჯარებს, რამდენიმე უბანზე გადალახეს მდინარე პრუტი და შევიდნენ რუმინეთის ტერიტორიაზე. წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ბრძანება მისცა შემტევ საბჭოთა ნაწილებს სდევნონ მტერი მის განადგურებამდე და კაპიტულაციამდე.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

2 აპრილს საღამოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიწვია საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები და საბჭოთა მთავრობის სახელით შემდეგი განცხადება გააკეთა:

წითელი არმია, წარმატებითი წინსვლის შედეგად, მიადგა მდინარე პრუტს, რომელიც სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს. ამით საფუძველი ჩაეყარა სრულს აღდგენას საბჭოთა სახელმწიფო საზღვრისას, რომელიც დადგენილ იქნა 1940 წელს საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის დადებული ხელშეკრულებით, რაც 1941 წელს ვერაგულად დაარღვია რუმინეთის მთავრობამ ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირში. ამჟამად წითელი არმია სწმენდს საბჭოთა ტერიტორიას ამ ტერიტორიაზე მყოფი მტრის ყველა ჯარისაგან, და შორს აღარ არის ის დრო, როცა მთელი საბჭოთა საზღვარი რუმინეთთან სავსებით აღდგენილ იქნება.

საბჭოთა მთავრობა იუწყება, რომ წითელი არმიის შემტევმა ნაწილებმა, რომელნიც სდევნიან გერმანიის არმიებს და მათს მოკავშირე რუმინელთა ჯარებს, რამდენიმე უბანზე გადალახეს მდინარე პრუტი და შევიდნენ რუმინეთის ტერიტორიაზე. წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ბრძანება მისცა შემტევ საბჭოთა ნაწილებს სდევნონ მტერი მის განადგურებამდე და კაპიტულაციამდე.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ იგი მიზნად არ ისახავს შეიძინოს რუმინეთის ტერიტორიის რაიმე ნაწილი ანდა შესცვალოს რუმინეთის არსებული საზოგადოებრივი წყობილება და რომ რუმინეთის ფარგლებში საბჭოთა ჯარების შესვლა ნაკარნახევია მხოლოდდამხოლოდ სამხედრო აუცილებლობით და იმით, რომ მტრის ჯარების წინააღმდეგობა გრძელდება.

გერმანელთა ზარალი და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების ნადავლი ა. წ. 4-დან 31 მარტამდე ბრძოლების პერიოდში

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვის სარდლობით, 4-დან 31 მარტამდე ჩატარებული შეტევითი ოპერაციების შედეგად, გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 41.940 კვადრატული კილომეტრი საბჭოთა ტერიტორია, უკრაინის 3 საოლქო ცენტრი: **ვინიცა, კამენეც-პოდოლსკი, ჩერნოვიცი**, 57 ქალაქი, 11 რკინიგზის კვანძი, 647 დიდი დასახლებული პუნქტი და 3.801 სხვა დასახლებული პუნქტი.

ფრონტის ჯარები ანვითარებდნენ შეტევას, გავიდნენ **კარპატების** მთის კალთებზე და გაჰკვეთეს გერმანელთა ფრონტი ორ ნაწილად, წაართვეს მას ძირითადი კომუნიკაციები, რის შედეგადაც მოწინააღმდეგის სამხრეთის დაჯგუფება იძულებულია დაეყრდნოს მხოლოდ რუმინეთზე მიმავალ გზებს.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა გაანადგურეს ან მძიმე ზარალი მიაყენეს 96, 208, 254, 291, 340, 371, 183, 217, 339, 68, 357, 359, 361 ქვეითს დივიზიებს, გაანადგურეს პოლონეთის საგენერალ-გუბერნატოროს სადივიზიო ჯგუფი, **პრიუტცმანის** სადივიზიო ჯგუფი, **შაალის** სადივიზიო ჯგუფი, 454 მცველი დივიზია, 101 სამთო-მსროლელი დივიზია, გალიციის 44 სს დივიზია, 1, 6, 7, 8, 11, 16, 17, 19, 25 სატანკო დივიზიები, სს სატანკო დივიზიები „რაიხი“ და „ადოლფ ჰიტლერი“, რადოვიცის სატანკო ჯგუფი, გუდელიუსის სატანკო ჯგუფი, გერმანელთა 20 მოტოდივიზია და რუმინელთა 8 ქვეითი დივიზია.

ფრონტის დამკვრელი ჯარების სწრაფი შეტევის შედეგად **სკალას** რაიონში გარშემორტყმულია და საბოლოოდ ვსპობთ გერმანელთა შვიდი ქვეითი, შვიდი სატანკო და ერთი მოტორიზებული დივიზიების ნაშთებს.

ჩატარებული ოპერაციების შედეგად 4-დან 31 მარტამდე უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა მოწინააღმდეგეს შემდეგი ზარალი მიაყენეს:

მოსპობილია: 1.338 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 2.516 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 1.285 ნაღმსატყორცნი, 4.206 ტყვიამფრქვევი, 22.519 ავტომანქანა და საწვეავი, 572 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 272 თვითმფრინავი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა 183.310 ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

ამავე დროის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ხელთ **იგდეს** შემდეგი დაკლა: 849 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 2.086 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 4.223 ტყვიამფრქვევი, 1.391 ნაღმსატყორცნი, 38.020 შაშხანა და ავტომატი, 31.468 ავტომანქანა, 406 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 149 ორთქლმავალი, 6. 315 ვაგონი, 1.944 მოტოციკლი, 203 რადიოსადგური, 7.634.000 ყუმბარა, 436 სხვადასხვა საწყობი საომარი ქონებით, 4.528 ცხენი. ტყვედ წამოყვანილია 24.950 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, გერმანელთა საერთო ზარალი მთავარი სახეობის საბრძოლო ტექნიკისა და ადამიანთა მხრივ ოპერაციების განმავლობაში შეადგენს: 208.260 ტყვესა და მოკლულს, 2.187 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 4.602 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 2.676 ნაღმსატყორცნს, 8.429 ტყვიამფრქვევს, 53.987 ავტომანქანასა და ჯავშანტრანსპორტიორს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

სინძიანის სამხედრო ნაწილებმა სროლა აუწეხეს ღმოლვილ ყაზახებს

ულან-ბატორი, 1 აპრილი (საკდესი). საქმეს გაცნობილი წრეებიდან აქ მიღებული ცნობების თანახმად, გასული წლის დამლევს სინძიანის პროვინციის (ჩინეთი) ადგილობრივი ხელისუფალნი შეუდგნენ ალტაის ოლქის დიდძალი ყაზახი მოსახლეობის იძულებითს გადასახლებას სინძიანის სამხრეთ რაიონებში.

ყაზახთა ბევრმა ოჯახმა არ მოისურვა გადასახლება და ისინი სინძიანის სამხედრო ნაწილების მხრივ დევნისაგან თავშესაფრის ძებნაში დაიმალნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მონღოლეთის ხელისუფლებამ ისინი მიიღეს, როგორც ლტოლვილნი.

ჩინეთის ჯარები, რომელნიც სინძიანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ბოყოფებოდნენ, ყაზახთა დევნის დროს შემოიჭრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და თვითმფრინავებიდან სროლა აუტეხეს როგორც ამ ლტოლვილთ, ისე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დასახლებულ პუნქტებს. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო პასუხი არ გაეცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების ამგვარ უხეშ დარღვევაზე და წინააღმდეგობა გაუწია შემოჭრილ სინძიანის ჯარებს.

ამასთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ მმართველ წრეებში მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ, თუ სინძიანის ჯარების მხრივ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების ასეთი დარღვევა კვლავ განმეორდა, საბჭოთა მთავრობა, სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული ურთიერთდახმარების 1936 წლის 12 მარტის ხელშეკრულების ძალით, იძულებული იქნება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის უშიშროების დასაცავად ყოველი საჭირო დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს ამ რესპუბლიკის მთავრობას.

ხდება დონბასის მაღაროელთა საცხოვრებელი ფონდის აღდგენა

დონბასში დიდი მუშაობა სწარმოებს გერმანელი ოკუპანტების მიერ ბარბაროსულად დანგრეულ მაღაროელთა ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა აღსადგენად. „სტალინგოლის“, „ვოროშილოვგრადუგოლის“ და „როსტოვუგოლის“ მუშათა დაბებში უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ 560.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მაღაროელთა დაბებში გაიხსნა სასადილოები, კლუბები, საბავშვო ბაღები და ბაგები. წელს დონბასში აღდგენილ იქნება ერთი მილიონი კვადრატული მეტრი ფართობი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 აპრილის ოპერაციული ცნობიდან

2 აპრილის განმავლობაში **უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს სტანისლავის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი კოსოვი, ქალაქი კუტი** და ჩერნოვიცის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ბერცა.**

ქალაქ **კამენეც-პოდოლსკის** სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ჩერნოვიცის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ნოვოსელიცა**, აგრეთვე დაიკავეს რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მარშინცი, ტარასოვცი, ვანჩიკოვცი, დუმენი, კოშულენი** და რკინიგზის სადგურები **ვანჩიკოვცი, ნოვოსელიცა.**

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები, რომელნიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს და დაიკავეს მოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონული ცენტრი ქალაქი **რეზინა**, აგრეთვე დაიკავეს 20-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კრასნოშენი, სუხულუჩენი, კლიშოვა, ჩოკოლტენი, კიშტელნიცა, ზაბოკრენი, ბუშოვკა, გოროდიშჩეა, ნოვო-კრასნოე, სტეპანოვკა.**

ტირასპოლის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი **შირიაევო**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ფლორა, მალაია** და **ბოლშაია კოდრატოვკა, ნოვო-ალექსანდროვკა, მარიანოვკა, მიხაილოვკა, იაკიმოვ იარი, ნოვაია** და **სტარაია გულიაევკა.**

ოდესის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ვულფოვო, ნოვო-პეტროვკა, ნოვაია ელიზავეტოვკა, ევგენიევკა, ჯუბასტროვა, ლიუბოტაევკა, გალაიჩუკი, მაქსიმოვკა, ალექსანდროვკა, პეტროსკოე.**

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო.

1 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 19 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 40 თვითმფრინავი.

* * *

3 აპრილის ოპერაციული ცნობა

3 აპრილის განმავლობაში ქალაქ **დუბნოს** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს ვოლინის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **გოროროდოკი**, ქალაქი **ბერესტეჩკო**, ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრი **ლოპატინი**, აგრეთვე დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ოლხოვკა, ზვინიაჩე, სკოგელკა, ხოლონიუვი, გოროდელი, პეტროვილი, გარილუვი, სმაკუვი, ზჩუროვიცი, ზავიდჩე, კულიკუვი, ნემილუვი, სტანი სლავჩიკი, პონიკოვიცა, გორატინი, კონიკვა.**

რამდენიმე დღის წინათ **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა ფრონტის მთელ რიგ უბნებზე გადალახეს მდინარე **პრუტი** და რუმინეთის ტერიტორიაზე 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კრასნალეუკა, შერკენიდა, სვეენი, ხენეშტი, დენეუნი, სტეფანეშტი, კაუშუტი, ტრიფეშტი, ციგანეშიუ, კირპიცი** (18 კილომეტრზე **იასის** ჩრდილოეთით) და რკინიგზის სადგური **დენეშესი**, და ამრიგად გადასჭრეს რკინიგზა **იასი-დოროგოი.**

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ, რომელთა მსვლელობაში რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბოგრდინეშტი, მელეშენი, გრავიჩა, კუკურუზენი, კურლენი, ლალოვა, სტოდოლნა, სამარკა.**

ოდესის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრები **კრასნიე ოკნა, ვალეგოცულოვო, ზოლოტენი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მალაეშტი, ნოვო-სამარკა, ანტონოვკა, ვლადიმიროვკა, ნოვოე ზარიცკოე, ბირნოსოვო, ბრანკოვანოვო, კოჩულოვა, არმაშოვკა, სემიონოპოლი, სტალინო, ცეზარევკა** და რკინიგზის სადგური **შარდაროვკა.**

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები **სწარმოებდა.**

2 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 52 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 40 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ დუბნოს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და დაიკავეს ვოლინის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქები გოროხოვი და ბერესტეჩკო და ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრი ლოპატინი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. არასრული ცნობებით მოსპობილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 34 ტანკი. გერმანელებს წვავრთვით 9 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 26 ქვემეხი, 80 ტყვიამფრქვევი, საწყობები საომარ მასალიანად და სახედრო ქონებიანად.

• • •

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ სკალის რაიონში გარშემორტყმული გერმანელი ჯარების მოსასპობად. მოწინააღმდეგე გააფთრებით ცდილობს თავი დაიცვაოს „ქვაბს“, მაგრამ ყველგან ხვდება საბჭოთა ჯარების დაუძლეველ საფარ რაზმებს. გერმანელთა კოლონები ცდილობდნენ გაეღწიონ სამხრეთისაკენ, დნესტრისაკენ. საბჭოთა ქვეითები, არტილერისტები, ნაღმმტყორცნელები და ტანკისტები მტერს გრიგალისებური ცეცხლით შეხვდნენ. მოწინააღმდეგის ყველა ცდა — გაჭრილიყო დასავლეთის მიმართულებით — ასევე ლაკვიდირებულია. ავიწროებდნენ რა გარშემორტყმის რკალს, დღის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა 3.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. ჰიტლერელებმა ბრძოლის ველზე დიდი რაოდენობის საჭურველი და საბრძოლო ტექნიკა დატოვეს. მხოლოდ ერთ უბანზე ტყვედ წამოვიყვანეთ მოწინააღმდეგის 1.200 ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ ვიგდეთ 1.000-ზე მეტი ავტომანქანა. სხვა რაიონში გერმანელებმა უკან დაიხიეს საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად და დასტოვეს 40 აფეთქებული ტანკი და 2.000-ზე მეტი დამწვარი ავტომანქანა. საბჭოთა ტანკისტები განსაკუთრებით მძიმე ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს. ტანკისტები იჭრებიან გერმანელთა საბრძოლო წყებებში, აქუცმაცებენ მათ ცალკე ჯგუფებად და ნაწილ-ნაწილ საბოლოოდ ანადგურებენ გარშემორტყმულ გერმანელთა დივიზიების ნაშთებს.

საბჭოთა მებრძოლები და ოფიცრები, რომლებიც უგზოობის პირობებში მოქმედებენ, უდიდეს გმირობასა და თავგანწირულებას ჩენენ. წითელარმიელთა მცირე ჯგუფი ამხ. გოლოვკინის ხელმძღვანელობით რკინიგზის სადგურში შეიჭრა, რომელიც გერმანელებს ეკავათ. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეს რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდა, საბჭოთა მებრძოლები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. მათ მრავალი ჰიტლერელი გაჟლიტეს, ხოლო დანარჩენნი უკუაქციეს. ხელთ ვიგდეთ 8 ქვემეხი, 6 ვაგონი, 45 საწვეავი და ავტომანქანა. სხვა უბანზე გერმანელები უკან იხევდნენ, მდინარეზე გადავიდნენ და ამის შემდეგ ხიდს ცეცხლი წაუკიდეს. რამდენიმე ჰიტლერელი მდინარის ნაპირზე დარჩა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ხელს უშლიდა ჩვენს მებრძოლებს ხანძრის ჩაქრობაში. მეავტომატეებმა ამხ. კარაევმა და ბუნდეცმა გასცურეს მდინარე და მოსპეს გერმანელი მეტყვიამფრქვევენი. ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფად ჩააქრეს ხანძარი და, გამოიყენეს რა ხიდი, მდინარეზე გადავიდნენ. გვარდიის უფროს ლეიტენანტ კულდინის ტანკის ეკიპაჟმა უკანასკნელად წარმოებულ ბრძოლებში გაჟლიტა 60 ჰიტლერელი და მოსპო გერმანელთა 4 ტანკი, 60 ავტომანქანა და საზიდარი საომარ მასალიანად. გვარდიის ლეიტენანტ ვერიოვკინის ტანკის ეკიპაჟმა დაახიანა გერმანელთა სამი ტანკი და მოსპო მოწინააღმდეგის 30 ავტომანქანა.

• • •

ოდესის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგე ეყრდნობოდა ბუნებრივ ზღუდეებს და ძლიერ ცეცხლოის წინააღმდეგობას გვიწევდა. საბჭოთა ნაწილები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 შენაერთის მებრძოლები გადავიდნენ მდინარე ბოლშოი კუიალნიკზე და სწრაფი იერიშით სხვადასხვა მხრიდან დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი ოვიტენი. ბრძოლის ველზე მტრის მრავალი გვამი დარჩა. ხელთ ვიგდეთ დაკლა და ტყვეები. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა წარმატებითი შემოვლითი მანევრის შედეგად დაამარცხეს გერმანელთა 2 ბატალიონი და ხელთ იგდეს მთელი მათი საჭურველი. ჩვენმა სხვა ნაწილმა დაიკავა დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო 24 ქვემეხი, 40 ავტომანქანა და საომარი მასალების დიდი საწყობი.

• • •

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მზვერავი ავიაციის მფრინავებმა ფინეთის აუერში აღმოაჩინეს მოწინააღმდეგის გემების ორი ჯგუფი. ფლოტის ავიაციამ დღის განმავლობაში სამი თანმიმდევრული მასირებული დარტყმა აგემა მტრის გემებს. მიუხედავად ძლიერი საზენიტო ცეცხლისა გემებიდან და მტრის გამანადგურებელთა წინააღმდეგობისა, ყველა ჩვენი თვითმფრინავი მიზნისაკენ გაიჭრა. ბომბების პირდაპირი მოხვედრით ჩაძირულია ორი ტრალერი, ორი სადარაჯო კატერი და სადესანტო კარჭაპი, გაფფრებულ საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა გერმანელთა 35 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ჩვენ 4 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციამ თავს დაესხა ნავადგურ ლიინახამარის (პეტსამოს აუერე). საბჭოთა მოიერიშეების ჯგუფმა ავიანადგურებელთა თანხლებით დარტყმა აგემა მოწინააღმდეგის ტრანსპორტებს, რომლებიც ნავადგურში იმყოფებოდნენ. ჩამოგდებული ბომბებით ჩაძირულია გერმანელთა ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა. მოწინააღმდეგის მეორე ტრანსპორტი ძლიერ დაზიანდა.

• • •

ყირიმელმა პარტიზანებმა 27 მარტს გაანადგურეს მტრის გარნიზონი ქალაქ სტარი კრიმში. გააფთრებულ ჭუჭის ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა 200-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. აფეთქებული და დამწვარია საწყობები საომარ მასალიანად და საჭურველიანად, კომენდატურისა და ქალაქის პოლიციის შენობა. საბჭოთა პატრიოტებმა დიდძალი დავლა იგდეს ხელთ. პარტიზანებმა ამოსწყვიტეს გერმანელთა საპატიმროს დაცვა და გაათავისუფლეს 46 დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქე.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ბუდაპეშტსა და გერმანელთა კომუნიკაციებზე იუგოსლავიაში

ლონდონი, 3 აპრილი (საკდესი). იტალიაში მყოფ მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბიდან რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის საჰაერო ძალთა შემადგენლობის მძიმე ბომბდამშენებმა დაბომბეს დამახარისხებელი სადგურები და საავიაციო ქარხანა ბუდაპეშტში.

„ლიბერეიტორ“ და „მფრინავი სიმაგრის“ ტიპის თვითმფრინავები თავს დაესხნენ დამახარისხებელ სადგურს კნინში (იუგოსლავია). მოკავშირეთა თვითმფრინავებმა დაბომბეს აგრეთვე სადგური ბროდი ზაგრებადან ბელგრადში მიმავალ გზაზე და სადგური დრნიში ქალაქებს შიბენიკსა და კნინს შორის მდებარე გზაზე. კნინი წარმოადგენს საკვანძო სადგურს რკინიგზის მაგისტრალზე, რომელიც ფიუმედან შიბენიკისა და სპლიტისაკენ მიდის.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

სინძიანის სამხედრო ნაწილებმა სროლა აუწეხეს ღმოლვილ ყაზახებს

ულან-ბატორი, 1 აპრილი (საკდესი). საქმეს გაცნობილი წრეებიდან აქ მიღებული ცნობების თანახმად, გასული წლის დამლევს სინძიანის პროვინციის (ჩინეთი) ადგილობრივი ხელისუფალნი შეუდგნენ ალტაის ოლქის დიდძალი ყაზახი მოსახლეობის იძულებითს გადასახლებას სინძიანის სამხრეთ რაიონებში.

ყაზახთა ბევრმა ოჯახმა არ მოისურვა გადასახლება და ისინი სინძიანის სამხედრო ნაწილების მხრივ დევნისაგან თავშესაფრის ძებნაში დაიმალნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მონღოლეთის ხელისუფლებამ ისინი მიიღეს, როგორც ლტოლვილნი.

ჩინეთის ჯარები, რომელნიც სინძიანის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ბოყოფებოდნენ, ყაზახთა დევნის დროს შემოიჭრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე და თვითმფრინავებიდან სროლა აუტეხეს როგორც ამ ლტოლვილთ, ისე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დასახლებულ პუნქტებს. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო პასუხი არ გაეცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების ამგვარ უხეშ დარღვევაზე და წინააღმდეგობა გაუწია შემოჭრილ სინძიანის ჯარებს.

ამასთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ მმართველ წრეებში მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ, თუ სინძიანის ჯარების მხრივ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების ასეთი დარღვევა კვლავ განმეორდა, საბჭოთა მთავრობა, სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებული ურთიერთდახმარების 1936 წლის 12 მარტის ხელშეკრულების ძალით, იძულებული იქნება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის უშიშროების დასაცავად ყოველი საჭირო დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს ამ რესპუბლიკის მთავრობას.

საბაზაფხულო ხვნის მიმდინარეობა კოლმეურნეობებში

საქმიწასახკომის 1 აპრილის ცნობებით

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	52,1	ახალციხე	45,5
აჭარის ასსრ	5,4	ადიგენი	40,1
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	29,1	ასპინძა	52,2
		ხაშური	41,8
აბაშა	90,2	ქარელი	29,4
ცხაკაია	59,0	გორი	52,2
გეგეჭკორი	72,2	კასპი	61,0
ზუგდიდი	72,8	ბორჯომი	11,2
ხობი	87,9	წალკა	16,3
წალენჯიხა	47,8	დუშეთი	46,1
ჩხოროწყუ	59,5	თეთრი წყაროო	78,7
მახარაძე	53,9	თიანეთი	23,0
ლანჩხუთი	42,4	გურჯაანი	53,7
ჩოხატაური	23,5	სიღნაღი	79,0
ფოთი	91,8	წითელწყაროო	87,1
ქუთაისი	78,0	თელავი	65,7
წყალტუბო	89,9	ყვარელი	81,6
სამტრედია	20,8	ლაგოდეხი	80,2
წულუკიძე	77,0	თბილისი	78,8
ვანი	73,8	მცხეთა	87,3
მაიაკოვსკი	29,6	ყარაია	103,2
ზესტაფონი	39,3	ბორჩალო	97,5
ჩხარი	26,0	ბოლნისი	68,4
ჭიათურა	13,5		
საჩხერე	2,8	საგარეჯო	53,0
ორგანიკიძე	12,7	ბაშკიჩეთი	46,7

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 აპრილის ოპერაციული ცნობა

3 აპრილის განმავლობაში ქალაქ **დუბნოს** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს ვოლინის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **გოროროდოკი**, ქალაქი **ბერესტეჩკო**, ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრი **ლოპატინი**, აგრეთვე დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ოლხოვკა, ზვინიაჩე, სკოგელკა, ხოლონიუვი, გოროდელი, პეტროვილი, გარილუვი, სმაკუვი, ზჩუროვიცი, ზავიდჩე, კულიკუვი, ნემილუვი, სტანი სლავჩიკი, პონიკოვიცა, გორატინი, კონიკვა.**

რამდენიმე დღის წინათ **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა ფრონტის მთელ რიგ უბნებზე გადალახეს მდინარე **პრუტი** და რუმინეთის ტერიტორიაზე 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კრასნალეუკა, შერკენიდა, სვეენი, ხენეშტი, დენეუნი, სტეფანეშტი, კაუშუტი, ტრიფეშტი, ციგანეშიუ, კირპიცი** (18 კილომეტრზე **იასის** ჩრდილოეთით) და რკინიგზის სადგური **დენეშესი**, და ამრიგად გადასჭრეს რკინიგზა **იასი-დოროგოი.**

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ, რომელთა მსვლელობაში რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბოგრდინეშტი, მელეშენი, გრავიჩა, კუკურუზენი, კურლენი, ლალოვა, სტოდოლნა, სამარკა.**

ოდესის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრები **კრასნიე ოკნა, ვალეგოცულოვო, ზოლოტენი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მალაეშტი, ნოვო-სამარკა, ანტონოვკა, ვლადიმიროვკა, ნოვოე ზარიცკოე, ბირნოსოვო, ბრანკოვანოვო, კოჩულოვა, არმაშოვკა, სემიონოპოლი, სტალინო, ცეზარევკა** და რკინიგზის სადგური **შარდაროვკა.**

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები **სწარმოებდა.**

2 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 52 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 40 თვითმფრინავი.

* * *

2 აპრილის ოპერაციული ცნობიდან

2 აპრილის განმავლობაში **უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს სტანისლავის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი კოსოვი, ქალაქი კუტი** და ჩერნოვიცის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **ბერცა.**

ქალაქ **კამენეც-პოდოლსკის** სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ჩერნოვ

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივის მიმართვა

საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშისა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

სიხარულით აღსავსე დღეებს განიცდის ამჟამად ჩვენი ქვეყანა. გიგანტური ნაბიჯებით, გაუუხარელად მიიწევს წინ დასავლეთისაკენ წითელი არმია, თავის გზაზე ანადგურებს გერმანელთა დივიზიებს, სპობს და ხელთ იგდებს მათ ტექნიკას.

ნაბიჯნაბიჯ თავისუფლდება მრავალტანჯული საბჭოთა მიწა-წყალი, რომელიც ოკუპანტების უღელქვეშ გმინავდა და რომელიც ფაშისტმა მხეცებმა ჩვენი ძმებისა და დების ცრემლითა და სისხლით მორწყეს. განთავისუფლებული საბჭოთა მიწა-წყალი სიხარულით გულში იკრავს მხსნელ მეომრებს.

დიდია წითელი არმიის წარმატებანი. დნეპრი, ბუგი და დნესტრი უკან დარჩა. უკრაინის მე-2 ფრონტის მამაცი ჯარები საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარზე გავიდნენ. შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა მეომრები დიდი სტალინის წინამძღოლობით საბოლოოდ გასწმენდენ ჩვენს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს გერმანელ დამპყრობთაგან.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ კარგად ვიცით, რომ გამარჯვებები ერთბაშად როდი მოსულა. ისინი ჩვენ იოლად როდი მოგვიპოვებია. ჩვენი არმია დავაჟკაცდა ომის მსვლელობაში. ბრძოლის ველებზე დაეუფლა იგი გამარჯვების სტალინურ მეცნიერებას. ომის მსვლელობაში ხდებოდა მთელი ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე.

ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველჰყოფენ არმიასა და ჩვენს ქვეყანას ყოველივე იმით, რაც საჭიროა ომის საწარმოებლად, გამარჯვების მისაღწევად.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი საბჭოთა პატრიოტების მხოლოდ მცირე რაზმია. მაგრამ ჩვენს მოშობაში, ჩვენს მიღწევებში ახახულია წარმატებები და მიღწევები საბჭოთა ადამიანებისა, რომლებსაც უნარი შესწევთ საგმირო საქმეები ჩაიდინონ თავიანთი სამშობლოს მეფნიერებისათვის.

ომამდე ჩვენ საბრძოლო პროდუქციას არ ვაწარმოებდით. ახლა ჩვენ ამ პროდუქციის ვაწარმოებთ წითელი არმიის ათობით ქვეგანაყოფს. ამ პროდუქციის გამოშვება ნაკადზე გადაყვანეთ და წლის განმავლობაში ერთ-ერთ უბანზე მიგაღწიეთ პროდუქციის გამოშვების გაორკეცებას, ამასთან მუშების რაოდენობა 30 პროცენტით შევამცირეთ და მოწყობილობა—28 პროცენტით.

მიუხედავად დიდძალი ახალი მუშის მიღებისა, იმათი რაოდენობა, ვინც ნორმებს ვერ ასრულებს, უკანასკნელ წელს ხუთჯერ ნაკლები გახდა.

გაჩეულილ წელს ქარხნის სტახანოველებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 163 დაზგა.

დაზგათმშენებლობაში ჩვენ პირველად გადავიყვანეთ ნაკადზე სერიული დაზგების აწყობა. ახლა ჩვენ შეგიძლია მუშების იმავე რაოდენობით კონვეიერზე ავაწყოთ დაზგების ორმაგი რაოდენობა.

ქარხანაში შექმნილია 80 ფრონტული ბრიგადა, რომლებიც ჩვენი ახალგაზრდობის ენერგიას, მოსაზრებულობასა და ინიციატივას სამშობლოს სამსახურისათვის რაზმავენ.

ომმა ვერ შესწვიტა ჩვენი მუშაობა ახალი კონსტრუქციების დაზგების ათვისებისა და გამოშვების დარგში. მარტო უკანასკნელ წელს ჩვენ 12 ახალი ტიპის დაზგა გამოვუშვით მრეწველობის საავიაციო, სატანკო და სხვა დარგებისათვის. და თუ წინათ ისეთი დაზგის ათვისებას, როგორიც არის მოზლილების გარეპირის კონტურის დასამუშავებელი დაზგა, სულ მცირე იქვსი თვე დასჭირდებოდა, ახლა ეს ამოცანა გადაჭრილ იქნა სამ თვეში. ჩქარი ტემპებით გამოვუშვით სხვა ტიპის ახალი დაზგებიც.

ომის წლებში ჩვენ შეიქმნით ჩვენი საკოთარი სასურსათო ბაზა. წარმატებით ჩაიატარეთ თესვა და მოსავლის აღება 1943 წელს და დავამთავრეთ 1944 წლის თესვისათვის მზადება.

შეთობის წესით ჩვენ აღვადგინეთ გერმანელების მიერ დანგრეული მოჟაისკის მტკი-ი, შევავსეთ მისი სახელოსნოები მოწყობილობითა და ინსტრუმენტით, თვით მტკ-ი კი ელექტროფიცირებულია.

თებერვალში ჩვენ გადაჭარბებით შეეასრულეთ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების გამოშვების სახელმწიფო დავალება, პირველი ადგილი დავიკავეთ დედაქალაქის საწარმოთა შორის და საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მივიღეთ.

ჩვენ შევქმენით საქარხნო ჯანმრთელობის სამჭედლო-პროფილაქტორიუმი, რომელიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ გაიარა ჩვენი ქარხნის უკვე 800-მდე მუშამ.

აი უკვე 8 თვეა ჩვენ ხელთ გვიპყრია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვმართებს წითელი არმიისა, ვინაიდან ჩვენი წარმატებანი კვალდაკვალ ვერ მიჰყვებიან მის ძლევამოსილ ლაშქრობას.

ახლოვდება 1 მაისის დღესასწაული. საბჭოთა ადამიანების კარგი ტრადიციის მიხედვით ჩვენ მივეჩვიეთ შევეგებოთ ამ დღესასწაულს სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით, ახალი საწარმოო გამარჯვებებით. ხოლო წლევანდელი საპირველმაისო დღესასწაულის წინ გაბა შეუძლია თუნდაც ერთ საბჭოთა პატრიოტს, თუნდაც ერთ საბჭოთა საწარმოს კოლექტივს არ იმუშაოს განსაკუთრებული ენერგიით, განსაკუთრებული აღმავლობით, რათა დაეხმაროს ჩვენს მამაც წითელ არმიას, გერმანელი დამპყრობლების რაც შეიძლება სწრაფად განადგურებაში?

აი რატომ გადავწყვიტეთ მოვახდინოთ ყველა ჩვენი რესურსის ჰაბილიზაცია, მთლიანად გამოვიყენოთ ჩვენი შინაგანი შესაძლებლობანი და საპირველმაისო შეჯიბრებაში ვიკისროთ შემდეგი ვალდებულებანი:

1. I კვარტალი დავამთავროთ გეგმის გადამეტებით 50 დაზგის გამოშვებით. სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ აპრილში 20 დაზგა, ხოლო II კვარტალში 50 დაზგა.

2. წლის I ნახევარში დავამთავროთ მომზადება და II ნახევარში სავსებით გადავიყვანოთ ნაკადზე მექანიკური საამქრო. ეს შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით შევასრულოთ მთავრობის დავალება 1944 წელს დაზგების გამოშვების 50 პროცენტით გადიდების დარგში.

3. სომარი მასალების საამქროებში, ნაკადური წარმოების შემდგომი გაუმჯობესების გზით, პროდუქციის გამოშვება, I კვარტალის გამოშვებასთან შედარებით, II კვარტალში გავადიდოთ 10 პროცენტით.

4. II კვარტალში ავითვისოთ სამი ახალი ტიპის დაზგა თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებისათვის.

5. შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 15 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 10 პროცენტით.

6. ვადამდე დავამთავროთ აპრილის გეგმის შესრულება ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების წარმოების დარგში.

7. 12 დღეში ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვის კამპანია დამხმარე მეურნეობაში, ამასთან უზრუნველვყოთ სამუშაოთა მაღალი აგროტექნიკური დონე.

მთელ ჩვენს ძალას, მთელ ჩვენს ცოდნასა და ენერგიას მოვახმართ იმას, რომ ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი, ისევე როგორც ღირსეულად ვასრულებდით მათ დღემდე.

ძვირფასო ამხანაგებო! მოვიწოდებთ მოაწყოთ საპირველმაისო შეჯიბრება, იკისროთ ახალი დამატებითი ვალდებულებანი და ღირსეულად შეასრულოთ ისინი.

ომი გადამწყვეტ პერიოდში შევიდა. მაშ გავაორკეცოთ ჩვენი ღონისძიებანი მისი უსწრაფესი დამთავრებისათვის, უსწრაფესი გამარჯვებისათვის. დაე ჩვენი გამარჯვებანი ყოველდაკვალ მიჰყვებოდნენ წითელი არმიის გამარჯვებებს, დაე არაფერი მოაკლდეთ და შეფერხება არაფერში ჰქონდეთ ჩვენს მამაც მებრძოლებს, დაე შეჯიბრების შედეგად ფრონტზე წავიდეს ტანკების და თვითმფრინავების, იარაღისა და სომარი მასალების, სორსათისა და საჯურვლის სულ ახალ-ახალი ეშელონები.

გერმანელი დამპყრობლების უსწრაფესი და საბოლოო განადგურებისათვის!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ძლევამოსილ წითელ არმიას—გამმათავისუფლებელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ბელადს და მის გენიალურ მხედართმთავარს საბჭოთა კავშირის მარშალს—დიდ სტალინს!

მიღებულია ერთხმად ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებებზე 1944 წლის 28 მარტს.

ქარხნის კოლექტივის დავალებით ხელს აწერენ: ქარხნის დირექტორი პ. შ. ტარანინოვი, მთავარი ინჟინერი ბ. ე. ბანინინკო, პარტკომის მდივანი ა. ი. ელკინი, ქარხკომის თავმჯდომარე დ. ო. მატიაბინი, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი მ. პ. შაბოვა, ხარატი — სტალინური პრემიის ლაურეატი ს. შ. სმირნოვი, საამქროს უფროსი პ. ვ. გუშბარინკო, ოსტატი ი. ი. შჩერბაკოვი, საამქროს უფროსი ბ. პ. უვაროვი, მესტეხე ი. ე. ვორონკოვი, ფრონტული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ტ. პ. იაჩმენევა, ზეინკალი ვ. ვ. ერმილოვი.

მოლდავეთის მიწა-წყალზე

მოლდოვი არმია, 31 მარტი (საკადესის სპეც. კორ). რამდენადაც ბუგს ვშორდებით და დნესტრს ვუახლოვდებით, იმდენადვე გზა ჯარგია—ცოტა მანქანას გაუვლია ამ გზით. მაგრამ გზის იქით-აქეთ მხარეზე მრავალი საფლავია. ეს ძველი საფლავებია. აქვე არის სულ ამსსწინათ დახოცილ გერმანელთა და რუმინელთა გვამები. სოფელ ბრონიცაში ბევრი ახალი საფლავის ჯვარია, ცალკე გერმანელებისა და ცალკე—რუმინელებისა. 1941 წელს ამ გზებით ისინი მოდიოდნენ როგორც გამარჯვებულნი. მაშინ გზები მშრალი იყო, შეიძლებოდა ჯანქანებით გაქროლება. მაგრამ წითელი არმიის სახელოვანი მეომრები გერმანელებს ბრძოლებს უმართავდნენ ყოველ უმნიშვნელო ზღუდეზე და გერმანელთა მანქანები, ტანკები, მოტოციკლები დღე-ღამეში 5-10 კილომეტრს გადიოდნენ. ახლა გზებში საშინელი ტალახია, ჩვენი ქვეითები კი დღეში 30 კილომეტრს გადიოდნენ, კვალდაკვალ სდევნიდნენ ჰტერს. ტანკები წინ უსწრებენ გერმანელებს, დღეში 60 კილომეტრს გადიოდნენ და იკრებოდნენ დნესტრის გადასასვლელებისაკენ უფრო ადრე, ვიდრე გერმანელთა უკანდახეული ნაწილები იქ მისვლას მოასწრებდნენ.

დნესტრის მშვენიერ ნაპირებზე ბევრი ხიხილი და სანგარია. გერმანელთა სარდლობა ცდილობდა ამ ზღუდეზე შეეჩერებინა საბჭოთა ჯარები. ჩვენი ტანკისტები სწრაფი დარტყმით ამარცხებდნენ მტერს.

მოლდაველთა სოფლები დნესტრს გაღმა მთელია. მოწინააღმდეგემ ვერ მოასწრო მათი დაწვა, ვერ მოასწრო იქიდან მოსახლეობის გარეკვა: იგი მეტად შეშინებული იყო. სოფელ იარენიცაში რუმინელთა კომენდანტმა მოითხოვა, რათა გლეხებს მისთვის მიეცათ ხელწერილი, რომ მას არავინ გაუძარცვავს და არავინ მოუკლავს. იცის კატამ, ვისი ხორციც შესჭამა!

წითელი არმიის მისვლას აქ დიდ დღესასწაულივით ელოდნენ. მოლდაველთა ზოგიერთ სოფელში წითელარმიელებს ლიტანიით, პურ-მარილით ხვდებოდნენ.

დაახლოებით სამ წელს პარპაშუბდა მტერი მოლდავეთის მიწა-წყალზე. აუტანელი გადასახადები, ძარცვა და ძალადობა აქ სიტემად იყო გადაქცეული. სოფელ რუდის გლეხმა ექვთიმე მიხეილის-ძე ოტელმა გვიამბო:

— საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენ მიწა მოგვცა, ფაშისტებმა იგი ჩამოგვართვეს. ჰექტარ მიწაში 4 ათასი ლეი უნდა გადაგვეხადნა. საბჭოთა ხელისუფლებამ უფასო მკურნალობა გაგვიწია, ჰიტლერელების დროს კი ექიმისათვის 200 ლეი უნდა გვეძლია. გლეხებს უნდა ჩაებარებინათ მთელი რძე, მთელი ქვერცხი, მთელი მოსავალი. ჩვენ უფლება არა გვქონდა დედაენაზე გველაპარაკნა, სკოლებში ჩვენს ბავშვებს რუმინულად ასწავლიდნენ. წირვა-ლოცვასაც კი რუმინულ ენაზე ვოითხოვდნენ. რუმინელებმა მოლდავეთში შემოიღეს თავიანთი კანონები, თავიანთი სასჯელის წარმოება, თავიანთი სასამართლო. მაზრებს დაარქვეს პრეფექტურები, რაიონებს—პრეტურები, სოფლებში დასვეს თავიანთი პრემარები და კომენდანტები.

ჭრთამი გამდიდრების საშუალება იყო ყველა რუმინელი უანდარმისა და მოხელისათვის. თავა რომ მოგეთიბა და შინ მოგეტანა, რაჭდენიმე ჯანდარმისა და მოხელისათვის ჭრთამი უნდა მიგეცა, სოფლიდან სოფელში რომ წასულიყავი, რამდენიმე ასეული ლეი უნდა დაგემზადებინა ჭრთამისათვის.

რუმინელთა პარპაშის შედეგები მოლდავეთის ყოველ სოფელში სჩანს. ქოხები სავსეა სრულიად შიშველი ბავშვებით, მამაკაცები, ქალები ჰირდაპირ ჩამოკონილნი დადიან, ეზოებში ვერ ნახავთ ვერც ცხენებსა და ვერც საზიდრებს — ყველაფერი წარმიეტანა და რუმინეთშია წაყვანილ-გატანილი. არ არის მარილი, არ არის ასანთი და ნავთი.

— რით მოვხნათ, რა უნდა დავთესოთ, — ამბობს სამოილოვსკის სოფლის საბჭოს დეპუტატი თეოდორე სვიმონის-ძე იაროვი, — არ ვიცი, მაგრამ მიწას ეაინც დავთესავთ. ჩვენს განმათავისუფლებლებს კარგი მოსავლით გადაუხდით მადლობას. გარით დავამუშავებთ ჩვენს მინდერებს, მაგრამ პურს, ბოსტნეულსა და ყურძენს კი მივცემთ წითელ არმიას.

მოლდაველთის გზებზე მდიან საბჭოთა პოლკები. ისინი მიდიან სამშრეთისაკენ, პრუტისაკენ, ბრძოლებით მიიწევენ წინ დასავლეთისაკენ.

ა. მალიგაშვილი.

ჰაერის ბავონ-პატრონები

ლენინგრადის ფრონტი, 3 აპრილი (საკადესის სპეც. კორ.). ბალტიისპირეთის მიწა-წყალზე გრძელდება საჰაერო ბრძოლები მტრის წინააღმდეგ.

„პეტლიაკოვ-2“-ის ექსპედიცია, რომელიც ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერს კაპიტან კუზმენკოს მიჰყავდა, უკვე გამოჩნდა სამიზნის თავზე, როცა ამ ექვსეულზე უეცრად მიიტანა იერიში ექვსმა „ფოკე-ვულფ-190“-მა. ჩვენი ბომბდამშენები, რომლებსაც ამჯერად ავიაგამანადგურებლები არ ახლდნენ, იძულებული გახდნენ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. ისინი წრედ დაეწყვნენ და ერა მარტო მოიგერიეს გერმანელთა ავიაგამანადგურებლების ყველა იერიში, არამედ კიდეც ჩამოაგდეს მტრის ერთი მანქანა.

ფრონტის სხვა უბანზე ჩვენი ავიაგამანადგურებლების ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ მიტროხინის მეთაურობით იერიში მიიტანა გერმანელთა მოპიკრე ბომბდამშენების — „იუ-87“ დიდ ჯგუფზე. მტრის თვითმფრინავები თავდაცვის წრედ დაეწყვნენ, მაგრამ ჩვენი ავიაგამანადგურებლები შუაგულ წრეში შეიჭრნენ და დაარღვიეს „იუნკერსთა“ წყება. ლეიტენანტმა რეპკინმა ჩამოაგდო ერთი ბომბდამშენი, უფროსმა ლეიტენანტმა მიტროხინმა მოსპო მეორე მანქანა.

საბჭოთა ავიაგამანადგურებლების ჯგუფი ჰაერში შეხვდა გერმანელთა თვრამეტ ბომბდამშენს. საბჭოთა მფრინავებმა, რომელნიც ლეიტენანტ ლოდოჩნიკოვს მიჰყავდა, ჩამოაგდეს მტრის სამი თვითმფრინავი და დაადაზიანეს ორი, ამასთან თვითონ არც ერთი მანქანა არ დაუკარგავთ.

ერთ-ერთი საფრენოსნო დღის განმავლობაში, უმთავრესად საბჭოთა ესტონეთის ტერიტორიაზე, 11 ჯგუფური საჰაერო ბრძოლა მოხდა, რომელთა დროსაც ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 16 ბომბდამშენი და 7 ავიაგამანადგურებელი. ჩვენ 4 ავიაგამანადგურებელი დაკარგეთ. მეორე დღის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა მტრის 6 თვითმფრინავი და დაზიანებულ იქნა სამი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია. მეორე დღეს 10 საჰაერო ბრძოლაში გერმანელებმა დაკარგეს 21 „იუნკერსი“ და 8 ავიაგამანადგურებელი.

ა. ბარანინკოვი.

მოლდოვი არმია (დასავლეთის ფრონტი). ნ საარტილერიო ნაწილმა სამამულო ომის პერიოდში მოსპო 700-ზე მეტი ჰიტლერელი და მტრის დიდძალი საბრძოლო ტექნიკა. ასობით მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სურათზე: არტილერისტები ახალ საცეცხლე პოზიციებს იკავებენ.

ფოტო დ. ჩერნოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

საბჭოთა კავშირის გმირი ივანე გიორგის-ძე გარანიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 15 იანვრის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა წითელი არმიის მეთაურთა და მებრძოლთა დიდ ჯგუფს დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის. მათ შორის არის არტილერისტი ზემდეგი ივან გიორგის-ძე გარანიანი, გიორგის რაიონის სოფელ ბაღნარის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ ყოფილი კოლმეურნე.

ამ. გარანიანი წითელი არმიის რიგებშია სამამულო ომის პირველი დღეებიდან. საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში იგი გამოიჩრთო როგორც შესანიშნავი არტილერისტი. ნ ნაწილის წითელარმიული გაზეთი მოგვითხრობს მისი სიმამაცის მრავალ ფაქტებზე როგორც სტალინგრადის გმირული ეპოპეის დღეებში, ისე კურსკის რაიონში წარმოებული გრანდიოზული ბრძოლების დროს.

განსაკუთრებული ოსტატობა, ალტანობა, სისწრაფე, მამაცობა გარანიანმა გამოიჩინა დნეპრის გადალახვის დროს წარმოებულ ისტორიულ ბრძოლებში.

...ქვეგანაყოფი, — მოგვითხრობს ნ ნაწილის გაზეთი, — უახლოდებოდა მტრის მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტს. ქვეითებთან ერთად მის რიგებში მიდიოდა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდი ე. გ. გარანიანის მეთაურობით. გერმანელებმა ნალმსატყორცნების გრიგალისებური ცეცხლი ასტეხეს. გუნდის წევრებისაგან ამ ბრძოლაში ქვემეხთან დარჩა მხოლოდ ერთი მებრძოლი ბალიანი. დანარჩენები გამოვიდნენ მწყობრიდან, ხოლო ქვემეხის თითქმის ზედ მოადგნენ ჩვენს პოზიციებს. მაშინ იგრიალა ქვემეხის პირველმა გასროლამ. ყუმბარები ფაშისტთა წყებებში სცდებოდა. მაგრამ ისინი თავისიანების გადარჩენებზე აბიჯებდნენ და მაინც წინ მოძვრებოდნენ. ქვემეხის ჯავშნიან ფარს ხვდებოდა მტრის ტყვიები. სიკვდილი ყოველ წუთს ემუქრებოდა თავგანწირულ არტილერისტებს.

— მტკიცედ ვიდგეთ უკანასკნელ წუთამდე, —გთხოვა გარანიანის დამშვიდებული ხმა, — გერმანელები ვერ დაგვძრავენ ადგილიდან... მოამზადეთ შრაპნელი...

სასიკვდილო ყუმბარების სეტყვა კვლავ თავს დაატყდა ფაშისტებს. გერმანელებმა ვერ გაუძლეს ასეთ წინააღმდეგობას და მათი ყოყმანები უკუიქცნენ. მტრის კონტრიერიში ჩაიფუშა.

მეორე ბრძოლაში გარანიანმა კვლავ გამოიჩინა მამაცობა და ვმირობა. დილით ადრე სარდლობამ გარანიანს დაავალა ნ სოფელში განლაგებული მტრის საცეცხლე წერტილების განადგურება. მეგზურმა არტილერისტებმა მოხდენილი მანევრით წინ წაიწიეს, 200 მეტრზე მიუახლოვდნენ სოფელს და ქვემეხთა საშინელი ცეცხლი დაანთეს. ამ ბრძოლაში მტრის ცხრა საცეცხლე წერტილი იქნა განადგურებული და შეტევისათვის გზა გაეხსნა ქვეითს ჯარს.

დნეპრის გადალახვის დროს გარანიანის ქვემეხის გუნდი ერთ-ერთი პირველი გადავიდა მარჯვენა ნაპირზე და ზუსტი ცეცხლით

იწყო გერმანელთა „ვეფხვების“ და „ავაზების“ მოსობა, რომლებიც გადასულ ნაწილს დააცხრნენ თავს. თავისი ქვემეხით გმირმა არტილერისტებმა საშუალება მისცეს ჩვენს ნაწილს დასავლეთ ნაპირზე გამაგრებულიყო ძირითადი ძალების მისვლამდე.

სამამულო ომის ფრონტებზე იბრძვის ავრეთვე ე. გ. გარანიანის შვილი, უფროსი ლეიტენანტი კომკავშირელი ივანეს გარანიანი, რომელიც ნალმმტყორცნელთა ქვეგანაყოფს მეთაურობს.

სასიხარულო ცნობა ე. გარანიანისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ სწრაფად მოედო სოფელ ბაღნარს, სადაც 1903 წელს დაიბადა ე. გარანიანი და სადაც მას იცნობენ, როგორც ენერგიულ, შრომისმოყვარე, გამოცდილ ადამიანს, სამშობლოს მზრუნველ პატრიოტს. სოფელში ცხოვრობენ გმირის მოხუცი მშობლები გიორგი და ფლორა, ცოლი სოფიო — მოწინავე მერგოლური და შვილები.

ამ დღეებში ბაღნარის კოლმეურნეებმა წერილი გაუგზავნეს თავიანთ გმირ თანასოფელს, წერილში ისინი ასწერენ, თუ რა დახმარება გაუწიეს წითელ არმიას და სამშობლოს, სიტყვას იძლევიან კიდევ უფრო გაძლიერონ ეს დახმარება და მოუწოდებენ გმირს კვლავ დაუნდობლად ელიტოს ფაშისტი დამპყრობლები.

გ. მერკვილაძე

ორდენოსანი პოლკოვნიკი გ. მ. ჯინჭარაძე

სამამულო ომის მონაწილე სახელოვან სბჭოთა გმირ პატრიოტებს შორის დიდად გაითქვა სახელი ქართველი ხალხის ღირსეულმა შვილმა და თავის წინაპართა გმირულ ტრადიციებზე აღზრდილმა, სტალინური წრთობის ოფიცერმა პოლკოვნიკმა გიორგი მიხეილის-ძე ჯინჭარაძემ. ოცეულის მეთაურობიდან პოლკოვნიკობამდე — ასეთია ჯორგი ჯინჭარაძის მხედრული გზა. ამ გზაზე ბევრ ბრძოლა-ბრძოლაში ბრძოლა-ბრძოლაში ბრძოლა-ბრძოლაში



ბრძოლა-ბრძოლაში ბრძოლა-ბრძოლაში ბრძოლა-ბრძოლაში

რას იწვევს მსირე ქვეყნების კავშირი ჰიტლერულ გერმანიასთან

შრომითი გმირობის დღიურიდან

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

არანაკლებ 200 პროცენტისა

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ დაზგათმშენებელთა მიმართვის საპასუხოდ თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის დაზგათმშენებლებმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ივ. ფედორენკო ხელმძღვანელობს, იკისრა აპრილის საწარმოო გეგმის 25 აპრილისათვის შესრულება. იმ საამქროს ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ერმაკოვი ხელმძღვანელობს, იკისრა 25 აპრილისათვის შესრულოს თვიური საწარმოო დავალება და ერთ ახალმოსულ მუშას შეასწავლოს ხარატის პროფესია. ამხ. მ. მანჯგალაძის ფრონტულმა ბრიგადამ მოსკოველთა საპასუხოდ აპრილის საწარმოო გეგმის 400 პროცენტით შესრულება იკისრა.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ჩაებნენ რა მოსკოვის ლენინის ორდენოსან დაზგათმშენებელ ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მიმართვასთან დაკავშირებით საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. სტახანოველმა ამხ. ვ. ფირტხალავამ იკისრა აპრილის საწარმოო გეგმის 200 პროცენტით შესრულება, სტახანოველმა ბენდიანაშვილმა—200 პროცენტით, მკედელმა ბიკოვმა—300 პროცენტით, ბელიკოვმა—300 პროცენტით, შელიგოვმა—200 პროცენტით, შესტაპოლოვმა—300 პროცენტით და ა. შ.

კიროველი დაზგათმშენებლები წარმატებით იბრძვიან ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად.

მოველით კალინინელთა პასუხს

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მიმართვის საპასუხოდ თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მანქანათმშენებლებმა იკისრეს: ვადაზე 5 დღით ადრე — 25 აპრილისათვის შეასრულონ აპრილის საწარმოო დავალებები, სამაისოდ დამატებით მოამზადონ 8 კვალიფიციური ხარატი, 18 ზეინკალი და 2 მეინსტრუმენტე; მარტთან შედარებით აპრილში 5 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და 6 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება; აპრილის განმავლობაში გასწიონ 15.000 კილოვატსაათ ელექტროენერგიის ეკონომია და ა. შ.

პასუხსაგები საწარმოო ამოცანების შესრულება იკისრეს ქარხნის ფრონტულმა ბრიგადამ. ამხ. ი. მირზოევის ფრონტულმა ბრიგადამ იკისრა 25 აპრილისათვის 1.000 პროცენტით შეასრულოს აპრილის საწარმოო დავალება და წარმოებაში ახალმოსულთაგან მოამზადოს კვალიფიციური ჩამომსხმელი მუშა. ამხ. კ. ილურიძის ფრონტულმა ბრიგადამ იკისრა აპრილის საწარმოო დავალებების 25 აპრილისათვის შესრულება. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა სტახანოველებმა, ქარხნის მოწინავე ადამიანებმა ს. ჩხაიძემ, ე. ხიზანიშვილმა, ე. კეზერაშვილმა და სხვ. ამხ. ე. ხიზანიშვილის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ იკისრა აპრილის გეგმის გადაჭარბებით შესრულება და პროდუქციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლების მიღწევა.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში უკეთესი მაჩვენებლების მიღწევაზე ქარხნის კოლექტივმა გამოწვევა გაუგზავნა კალინინის სახელობის თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივს.

მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის ვალდებულებანი

მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი დიდი სიხარულით შეხვდნენ ლენინის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივის მიმართვას საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისადმი — მოეწყოს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება.

ამ მიმართვისა და მამაცი, გმირი წითელი არმიის წარმატებების პასუხად, წითელი არმიისა, რომელიც ასობით ქალაქებს, ათასობით დასახლებულ პუნქტებს და მილიონობით საბჭოთა ადამიანებს ათავისუფლებს, რომლებიც დროებით ჩავარდნენ გერმანელთა მონობაში, მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი ებმება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და შემდეგ ვალდებულებებს კისრულობს:

1. ვადამდე შეასრულოს აპრილის საწარმოო პროგრამა და მეორე კვარტალში გეგმის ზევით წითელი არმიის მთავარსარდლობის ფონდს მისცეს 1.200.000 მანეთის პროდუქცია, აქედან აპრილში—500.000 მანეთისა.

2. ნაკადურ ხაზებზე წარმოების გაუმჯობესების გზით გადამეტებით შეასრულოს წითელი არმიის საჭიროებისათვის პროდუქციის გამოშვების გეგმა.

3. მეორე კვარტალში ითვისოს ახალი, რთული, მცირე და საზომი ინსტრუმენტის ათი სახის წარმოება თავდაცვის მრეწველობის ქარხნებისათვის.

4. შვიდი პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

5. შეამციროს წუნი ფაქტიურ დონესთან შედარებით არანაკლებ 20 პროცენტისა.

6 მოაწყოს ოსტატთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ჩაბას ტექნიკურ სწავლებაში არანაკლებ 200 მუშისა.

საგჭოთა კავშირში

აირსადენის მშენებლობა ანდიჟანში

ქალაქ ანდიჟანში (უზბეკეთის სსრ) დაიწყო აირსადენის მშენებლობა, რაც პირველია შუა აზიაში. ნავთსარეწ „ანდიჟანიდან“ ქალაქამდე გაჰყავთ ძირითადი მაგისტრალი. უახლოესი თვეების განმავლობაში ჩაწყობილი იქნება 16 კილომეტრი ლითონსა და ასბესტ-ცემენტის მილი.

ბუნებრივი აირების მდიდარი მარაგი ნავთსარეწებში საშუალებას იძლევა ფართოდ იქნას გამოყენებული სათბობის ეს იაფი სახე ქალაქის სამრეწველო საწარმოებში და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

უზბეკეთის კოლმეურნეთა ძმური დახმარება უკრაინის კოლმეურნეობათადმი

უზბეკეთიდან გაიგზავნა პირველი ეშელონი ცხენებიანად, რომლებიც გამოყოფილია კოლმეურნეების მიერ ძმური დახმარების აღმოსაჩენად უკრაინის განთავისუფლებული რაიონებისათვის. უახლოეს დღეებში ანდიჟანიდან და ტაშკენტის ოლქებიდან გაიგზავნება 2.000 ცხვარი და 300 სული მუშაპირუტყვი.

განთავისუფლებულ რაიონებში ჯოგების მოსაშენებლად უზბეკეთის კოლმეურნეობებმა შეარჩიეს 200.000 ცხვარი, თხა და 9.000 სული მუშაპირუტყვი.

300.000 ტრაქტორისტი

ჩვენს ქვეყანაში მომზადებული იქნება 300.000 კვალიფიციური მუშაკი ამ სპეციალობის მიზედვით.

სწარმოებს სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების, კომბაინერებისა და შოფერების მომზადება.

ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრის“ პიანინოს

პიანინოები და როიალები ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრის“ მარკით ფართოდ იყო ცნობილი ჩვენს ქვეყანაში.

ორ წელზე მეტი ხნის შეჩერების შემდეგ თებერვალსა და მარტში ფაბრიკამ გამოუშვა პირველი 25 ინსტრუმენტი. რთულ წარმოებას წარმატებით დაეუფლნენ ახალგაზრდა კადრები, რომლებიც ამას წინათ მოვიდნენ ფაბრიკაში.

მეორე კვარტალში ფაბრიკამ უნდა გამოუშვას კიდევ 75 პიანინო.

3 აპრილი (საკადესი).

პარტიული ცხოვრება

აგიტაცია გვეხმარება უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში

500-ზე მეტი აგიტატორი მუშაობს ზუგდიდის რაიონის საკოლმეურნეო სოფლში. აგიტატორები თავიანთი მართალი და დამაჯერებელი საუბრებით რაზმავენ სოფლის მოსახლეობას იმისათვის, რომ ყოველდღიურად გაძლიერდეს დახმარება ფრონტისადმი, შემტევი წითელი არმიისადმი.

სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა. აქ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და სახელმწიფო ვალდებულებანი დროულად და საუკეთესოდ სრულდება. ამ წარმატებათა მოპოვებაში თვალსაჩინო ღვაწლი აქვთ გაწეული კოლმეურნეობის აგიტატორებს. ისინი თავიანთ აგიტაციას უკავშირებენ კოლმეურნეთა მუშობას, საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად და ხაღალხარისხოვნად შესრულების ამოცანებს. აგიტატორ ვ. წირღვავას საუბრები დამაჯერებელი და საინტერესოა, მდიდარია კონკრეტული ფაქტებითა და მაგალითებით. პირველმა ბრიგადამ, სადაც აგიტატორად ამხ. წირღვავა მუშაობს, გასულ წელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 29.280 კილოგრამისა, მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 37.344 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი. ამხ. წირღვავა ხელმძღვანელობს აგრეთვე საველე გაზეთის გამოშვებას. საველე გაზეთი მოუთხრობს კოლმეურნეებს მოწინავეთა გამოცდილებაზე, მკცრად აკრიტიკებს ჩამორჩენილებს. ასევე ეარგად მუშაობს ამავე კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადის აგიტატორი მასწავლებელი დ. ბებურია.

სოფელ ჭაქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ბ. შენგელია) ყურადღებით ეკიდება კოლმეურნეებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენებას. აგიტატორები ამხ: ჟ. ერემაძე, დ. გვილია, ჟ. ჯიქია, ბ. ქირია, ლ. ფიფია თავიანთი ზებრძოლი და დამაზაზმავი აგიტაციით დიდად ეხმარებიან ბრიგადებსა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებაში. ისინი სათავეში უდგანან საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. საკოლმეურნეო კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ თვეში ორჯერ გამოდის, ხოლო ყველა ბრიგადაში სამ დღეში ერთხელ უშვებენ „საბრძოლო ფურცლებს“. „საბრძოლო ფურცლების“ შინაარსს აგიტატორები გამოსვლისთანავე აცნობენ ყველა კოლმეურნეს.

საკეთესოდ არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა აგრეთვე სოფელ ორსანტიის ბეგეკკორის სახელობის, სოფელ ცაიშის პირველი მაისის სახელობის, სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის ბიურო რეგულარულად იხილავს სოფლად საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხს. რაიონული გაზეთი „შებრძოლი“ (რედაქტორი ამხ. დ. კალანდია) სისტემატურად აშუქებს ამ საკითხს თავის ფურცლებზე. გაზეთი აკრიტიკებს ნაკლოვანებებს და საქმიანად იბრძვის სოფლად საგიტაციო მუშაობის ბოლშევიკურად გაჩაღებისათვის.

ხ. ბერულავა

„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პლენუმი

თიანეთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მორიგი მე-8 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. რაიკომის ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ, 2. საორგანიზაციო საკითხი.

რაიონული კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ღუდუშაური.

კამათში ამ საკითხზე გამოვიდა 7 კაცი.

პლენუმმა რაიონული კომიტეტის ჩატარებული მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი სწორად.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ღუდუშაური პლენუმმა გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გამოიყვანა ბიუროს შემადგენლობიდან მისი სხვა რაიონში საუშაოდ გადაყვანის გამო.

საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. კ. ბურდული და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

ი. გეჟანიშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პლენუმი

დუშეთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. შ. ძ. ისურაძის საანგარიშო მოხსენება რაიკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ა. მანუკოვმა, დ. სანაძემ, გ. თანიაშვილმა, ნ. ხეთაგურმა, ს. დინუაშვილმა, ა. ქუტიძემ, შ. ზაქარიაშვილმა და სხვ.

პლენუმმა რაიკომის მიერ ჩატარებული პრაქტიკული მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი სწორად.

შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ამხ. შ. მაისურაძე ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ი. ღუდუშაური და შეიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში.

ნ. ხეთაგური

ქუთაისის ვ. ბაკრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის საქსოვ საამქროს ცვლის უფროსი ორდენოსანი გრიგოლ კახაძე ამოწმებს მედალოსან ლიდა ახალაძის ნამუშევარს.

ფოტო რ. აკოფოვისა

სოციალისტური შეჯიბრება

გამარჯვების მოსაგებად

წითელწყაროელთა პასუხი ლაგოდეხელთა გამოწვევაზე

წითელწყარო („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება, რომელმაც განიხილა ლაგოდეხელთა მიმართვა 1944 წელს გამარჯვების მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. შეკრების მონაწილეთა შორის მეხუთვალე გამოსმაურება ჰქონა ლაგოდეხელთა პატრიოტულმა თაოსნობამ.

რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა იკისრეს შემოდგომაზე დათესილი 1.910 ჰექტარი თავთავიანი კულტურებიდან საშუალოდ მიიღონ 13,5 ცენტნერი მოსავალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 12 ცენტნერისა, ჰექტარზე მოიყვანონ 16,5 ცენტნერი სიმინდი, 8 ცენტნერი მზესუმზირა, გეგმის გადამეტებით მიიღონ ჰექტარზე 5 ცენტნერი კარტოფილი, სრულმოსავლიანი ვენახის თითოეულ ჰექტარზე მოჰკრიფონ 55 ცენტნერი ყურძენი, ყოველ 100 სულ დედა-ცხვარზე ბამოზარდონ 95 ბატკანი, ყოველ 100 სულ ძროხაზე, ფურამეჩხა და უშობელზე შეინარჩუნონ 85 ხბო და ზაქი, ხოლო 100 ფაშატზე — 70 კვიცი, თითოეულ დედაღორზე გამოზარდონ 13 გოჟი.

შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა სოფელ ზემო მაჩხაანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე მედალოსანმა სეხნაშვილმა და ზემო ქედის კოლმეურნეობა „შრომის იმედის“ მეცხვარეობის ფერმის გამგე შარმანაშვილმა პირობა დასდეს, რომ ფერმებში ცხვრის ნამატს შეინარჩუნებენ 96 პროცენტით, თითოეულ დედა-ცხვარზე მიიღებენ 4 კილოგრამ ყველს, თითოეულ ცხვარზე 3 კილოგრამ მატყლს.

სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ორდენოსანი მამაიაშვილი კოლმეურნეობის სახელით კისრულობს ჰექტარზე მოიყვანოს 15 ცენტნერი მარცვლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა, 18 ცენტნერი სიმინდი და 11 ცენტნერი მზესუმზირა. ცხვრის ნამატი შეინარჩუნოს 96 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვისა — 86 პროცენტით, თითოეულ დედა-ცხვარზე მიიღოს 4 კილოგრამი ყველი და თითოეულ ცხვარზე 3 კილოგრამი მატყლი.

სოფელ ჯიფარიძის კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარე კიკოლაშვილი პირობას იძლევა, რომ ჰექტარზე საშუალოდ მიიღებს 14 ცენტნერ ხორბლეულს, 18 ცენტნერ სიმინდს და 11 ცენტნერ მზესუმზირას; მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმას შეასრულებს მსწავლიფეხა პირუტყვის დარგში 105 პროცენტით, მეცხვარეობის დარგში — 133 პროცენტით, მეღორეობისა — 150 პროცენტით. თითოეული ძროხის წლიურ წველადობას გაზრდის 725 ლიტრამდე.

ელდარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მედალოსანმა ა. გიგაურმა განაცხადა, რომ ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად კისრულობს 1944 წელს მარცვლეულის ბოსტნეულობა გაადიდოს 10 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობაში მოსავალს აიღებენ შარშანდელზე 10—15 დღით ადრე, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმას შეასრულებენ 110 პროცენტით, ცხვრის სულადობის გეგმას — 125 პროცენტით, ცხენისა — 105 პროცენტით, თითოეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღებენ 915 ლიტრ რძეს, შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 10 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობაში, საწვავის ხარჯვას შეამცირებენ 10 პროცენტით.

წითელწყაროს მტს-ის დირექტორმა ორდენოსანმა ბიწაძემ მტს-ის კოლექტივის სახელით იკისრა წელს საწარმოო გეგმა შეასრულოს 115 პროცენტით, ვადაზე 20 დღით ადრე დაამთავროს კომბაინების რემონტი, საუკეთესოდ მოემზადოს მოსავლის აღებისათვის. წელსვე ნატურანაზღაურების ვალდებულება გაანაღდოს 105 პროცენტით, გასწიოს საწვავ-საცხების ეკონომია 10 პროცენტით.

შეკრებაზე ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ზემო მაჩხაანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ალადაშვილმა, არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ თავმჯდომარე ვ. სეფიაშვილმა, ზემო ქედის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ პარტორგანიზაციის მდივანმა ს. ჯანყარაშვილმა, რაიმიწგანის უფროსმა ზოოტექნიკოსმა შ. შარაშიძემ, ვეტექმეტმა გ. ყაჭეიშვილმა და შ. ხირსელმა.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. შ. გელაშვილი, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულების საკითხზე.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. ხოშტარია.

შ. მოლაშვილი

ჰაფრიოზული თაოსნობის პასუხად

საგარეჯო („კომუნისტის“ საკ. კორ.). აგიტატორები და გაზეთების ხმამაღლა წამკითხველნი გავიდნენ მინდვრად და ლაგოდეხელთა შესანიშნავ ინიციატივას საფუძვლიანად აცნობენ კოლმეურნეებს. რაიონის მშრომელები მტრვალად იწონებენ ამ პატრიოტულ თაოსნობას, ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, რომ მოიწიონ მეტი პური, ბოსტნეული, გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

საგარეჯოს კოლმეურნეობა „ახალი შრომა“ იკისრა 10 პროცენტით გაადიდოს წელს მარცვლეულის მოსავალი, გეგმის 40 პროცენტის გადამეტებით მოიყვანოს ბოსტნეული, საგაზაფხულო კულტურები დასთესოს 10 ჰექტარი გეგმის გადამეტებით, 1 ნოემბრისათვის 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სოფელ მანავის სტალინის სახელობის, საგარეჯოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა, სოფელ თიხლიფორის კოლმეურნეობა „სოფლის წყაროს“.

საკოლმეურნეო სოფელში დიდი საწარმოო აღმავლობაა. ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანებები და გმირი წითელი არმიის გამარჯვებანი კოლმეურნეებს აღფრთოვანებენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. გაჩაღდა ლაშქრობა გამარჯვების მოსავლის მოსაყვანად. 30 მარტისათვის რაიონში დათესილი იყო 5.350 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, გეგმის 46,6 პროცენტი. მიმდინარეობს ხეხილის ბალებისა და ვენახების დამუშავება. ენერგიულად მუშაობენ საგარეჯოს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადები. 30 მარტისათვის მტს-ს მოხნული ჰქონდა 2.500 ჰექტარი, გეგმის 59,5 პროცენტი.

ხვნის ტემპები გააძლიერა სართიჭალის მტს-მაც.

გ. ზუკაკიშვილი

100 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე

ყვარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა ყვარლის რაიონის მშრომელებში ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ინიციატივამ გამარჯვების მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. კოლმეურნეებმა მინდვრად თავიანთ მიტინგებზე მოისმინეს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვართან გმირი წითელი არმიის მისვლის ცნობა, რამაც განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია. ამავე დროს კოლმეურნეები გაეცნენ ლაგოდეხელთა მოწოდებას.

სოფელ გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის“ ბრიგადირმა ბიბიკაშვილმა განაცხადა,—საბელოვანი წითელი არმიის გმრული შეტევა გვიკარნახებს ერთი-ორად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ბრიგადის სახელით ვკისრულობ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ბრიგადაში აგროტექნიკურ ღონისძიებათა ურყევად განხორციელებას. უზრუნველყოთ ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი სიმინდის მიღება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერისა, და 15 ცენტნერი ბერის მოყვანა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ქ. ვარაადაშვილის ბრიგადას.

კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ ნ. ბეროშვილმა ლაგოდეხელთა მიმართვის პასუხად პირობა დასდო, რომ სანიმუშოდ მოუვლის პირუტყვს. გეგმით გათვალისწინებული 130 სულის ნაცვლად გამოზრდის 170 სულ ნამატს.

ყვარლის კოლმეურნეობა „ახალ წყაროს“ მევენახეობის ბრიგადირი ბურკიაშვილი აცხადებს:—ისე მოვაწყობ ვენახების მოვლა-დამუშავებას და დაცვას, რომ თითოეული ჰექტარიდან უზრუნველყოთ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა, 100 ცენტნერი ყურძნის მიღება.

ყვარლის მტს-ის ტრაქტორისტმა აბრამიშვილმა იკისრა 10 აპრილისათვის გადამეტებით შეასრულოს საგაზაფხულო ხვნის გეგმა. სეზონის განმავლობაში მოხნას ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

დ. მირიანაშვილი

საბჭოთა კავშირი სამამულო ომში ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეფის რუსეთი წინანდელ ომში

საბჭოთა ხალხის პირველი, გმირი წითელი არმია პირსისლლიან მტერთან — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში ყოველდღე ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს და დიდების შარავანდედით მოსავს თავის საბრძოლო წითელ დროშებს. ძლევამოსილი შეტევა, რასაც ერთ წელზე მეტია წარმატებით ანვითარებს ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გენიალური ხელმძღვანელობით, უმაღლესი სარდლის, ბრძოლის ორგანიზატორის, ენერგიულ, ენერგიულ, ენერგიულ

მოკმედი არმია (კარელიის ფრონტი). ნ ნაწილის მშვენება და სიამაყე არიან უშიშარი მზვერავები, დიდების ორდენის კავალრები. თითოეულ მათგანს თავის საბრძოლო ანგარიშზე ათობით გაულეტილი გერმანელი და მრავალი შეპყრობილი „მოენე“ ჰყავს. სურათზე: დიდების ორდენის კავალრები (მარცხნიდან მარჯვნივ)—უფროსი სერჟანტი ჯ. ე. სკრიპკა, ზემდეგი ა. ა. ხრაპკოვი, უფროსი სერჟანტი ა. გ. ვასილევი, უფროსი სერჟანტი ი. ს. ეფანოვი, რიგითი მებრძოლი ა. პ. საველიევი, სერჟანტი ი. ლ. შვალიოვი, ეფრეიტორი ს. ი. იგოტი, უმცროსი სერჟანტი ვ. ო. მარკოვი, სერჟანტი ე. გ. გოლუბუნოვი და უმცროსი სერჟანტი ს. ა. ვასილევი.

ფოტო მ. აგეევისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

ბრძოლის წინაღდეგ

გიორგი ნატროშვილი

ღამე იყო. ფარდულში, ცეცხლის წინ ვისხედით. ხელით ჩამოკაფა ლაზარემ ნაძვის და ფიჭვის ტოტები და ეს ფარდული ააგო. ააგო იგი სახელდახელოდ, ერთი ღამის გასათევად.

ძლივს ჩაეზარეთ დაღლილი მუხლები. ცეცხლის აინ ქვემოდან შეჭნათოდა თოვლით დაზნექილ ნაძვებს. ბუხრის საკომურში ქარი ღმუილს რომ დაიწყებს ხოლმე, ისე ღმუოდა სადღაც შორს გერმანული მზვერავი თვითმფრინავი. როცა „ფოკე-ვულფის“ ეს ნაცნობი ხმა შემოგვესმოდა. ლაზარე წამოდგებოდა, მაზარის კალთებს ფრთებივით აქეთ-იქით გასწევდა და ცეცხლს გადაეფაფრებოდა—ციდან არ შეამჩნიონო. ასე იდგა, ვიდრე თვითმფრინავის ხმა მისწყდებოდა.

აი ახლაც ტყის სიღრმეში ჩაქრა მოტორის ბანასკენელი ბგერა. ლაზარემ ისევ მოიკეცა ცეცხლის წინ. ერთხანს ღრმად ჩაფიქრებული იჯდა. დადუმებულიყო ტყეც, აღარაფერი ისმოდა ირგვლივ, რაც ფრონტსა და ბრძოლას გაახსენებდა ადამიანს.

ასეთი მყუდროების წუთებში ფიქრით საქართველოში დაბრუნდებოდა ხოლმე ლაზარე, შენც თან წაგიყვანდა, გულს გადაგიშლიდა, ყველაზე სანუკვარ გრძნობას გაგიზიარებდა. ვატყობ, რაღაც უნდა მითხრას. ერთ წუთს შეყოყმანდა, მერე უბიდან გაზეთის ქაღალდში სათუთად და გულმოდგინედ შეხვეული სურათი ამოიღო და გადმომცა.

— სახლიდან წამოვიღე,—სთქვა და სახე დიმილით გაუნათდა.

დავხედე. გაცრეცილ სურათზე ლაზარეს ოჯახი დავინახე. თვითონ ოჯახის თავი ზის, ხელები დინჯად მუხლებზე დაუწყვია, ქალებიანი ჩოხა აცვია, მოვერცხლილი ხანჯალი არტყია. ლაზათიანი ბიჭი ყოფილა ადრეც: ახლაც იმ ხანჯალივით არტყია ეს ბიშტი, ხოლო ქალების ნაცვლად გრანატის საპირისწამლეები უწყვია უბეში. სურათში მას გვერდზე ქართულად თავდახურული ლამაზი სოფლელი დედაკაცი უდგას. ორი პატარა ბიჭის დედა, ოქრომკედიან ნაკერი გულსაბირი აქვს. სარტყლის გადმოშვებულ ტოტებზე ყვავილებია ამოქარგული. ეტყობა, გამთავნებული ოჯახი ყოფილა.

— გგონია, ახლა ამათ სძინავთ?—თითით მაჩვენებს თავისიანებზე ლაზარე.—დედაკაცი, ალბათ, მატყლსა სწერავს, ბიჭები გაკვეთილებსა სწავლობენ...

ლაზარე ისევ სურათს დასცქერის, ილიმება არ ვიცი, ხუმრობით თუ სერიოზულად მკუბნებს:

— აი დედის მხარეზე, მარჯვენა ფლანგზე რომ დგას, უფროსი ბიჭია, მარცხენა ფლანგზე—უმცროსი... ამათ გარდა, ერთი გოგოკა მყავს, ის აქ არა ჰხატია...

ახირებული უნდა იყოს კაცი, რომ ამ თითისტოლა ბიჭუნების დაბახვაზე ფლანგი მოაგონდეს. სამუდამოდ შეიჭრა მრავალი ასეთი სიტყვა ჩვენს ცნობიერებაში: ფლანგი, ბლინდაჟი, აზიმუტი, მარში, ტრანშეი,—ეს ფრონტზე ისეთივე სიტყვებია, როგორც წყალი და პური. და ეფიქრობ ახლა ჩემთვის: დამთავრდება ომი, დაბრუნდება ლაზარე სახლში და გუთანს რომ მოეკიდება, ბიწის ბელტს რომ გადმოაბრუნებს, უნებურად ისევ ეს სანგრები და ბრუსტვერები წაიღებენ იმის ფიქრს.

დუმილი უეცრად სროლის ხმამ დაარღვია. სადღაც შორს გერმანელი მეტყვიამფრქვეველი ზის და გრძელი ჯერით ისვრის, ღამის ჩრდილებსა და შრიალს ეომება. ვინ იცის, რა ელანდება იმის თვალებს. მერე ისევ შეჩერდება. ახლაც უცებ შესწყვიტა სროლა.

— ძაღლიშვილს ტყვიამფრქვევზე ჩაეძინა! — სთქვა ლაზარემ და წეკო გაახვია, მოუკიდა, მაგრამ დაღლილობამ დასძლია, პირველივე ნაფაზის შემდეგ თითონაც ჩასთვლიმა და პაპიროსი მიწაზე დაუვარდა.

მეც ძილი თავს მარმევდა. ისე წაგვიღო ძილმა, ცეცხლის ჩაქრობა დაგვავიწყდა.

ჯერ რაღაც გარინდებამ მომიცვა. თითქო ნახევრად მეძინა, რადგან ისევ ვგრძნობდი, რომ მცოდა. ბუნაში მესმოდა ტაკა-ტაკი ფიჭვის ცეცხლ-წაკიდებული ღერებისა და მათ საკმეველისებურ სუნსაც ვგრძნობდი. მერე შემომესმა ხრაშუნი თოვლზე და ხმელი ტოტების მტვრევა—ეს განწესება იცველებოდა. ვერე ყველა ხმა მიჩუმდა... თვალის-მომჭრელმა შუქმა დაანათა მიწაზე, თითქოს მზე კი არ ამოვიდა,—ზენიტიდან შურდულივით დაეშვა დაბლა და საცაა დაეცემო. რა ბრწყინავს ასე თეთრად ტოტებს შორის? თითქოს სახლია, კირით შეფეთქილი კედელი. ეს თეთრი ლაქებიც, ალბათ, მთვარის შუქია, ალაგ-ალაგ ჩრდილებით დაწინწკლული. ვუცქერი და მიკვირს, რომ დღისით ის კოხტა, თეთრი ტირიფით ნაგები შენობა ვერ შევნიშნე. აი სახლშიც შევდივარ. უეცრად დედაბოძი გრუხუნით გადმოიქცა, მიწამ ერთი ისე საზარლად ამოიგმინა, თითქოს გული თან ამოაყოლაო. ხეებიც შეინძრნენ, სახეზე ცივი ფიფქები დაგვაცვივდა.

— ადექი ჩქარა, გაიღვიძე!—მესმის ლაზარეს ხმა.—მაშორდი ფარდულს!—იძახის ის და ფეხით ცეცხლს აჭრობს.

ხეების კენწეროებში გერმანული თვითმფრინავი ტრიალებს, მას ჩვენი კოცონი შეუნიშნავს, როცა ჩვენ ძილში ვიყავით. ჯერ მაშხალა გადმოუგდია. მაღლიდან ჩამოშვებული ის შუა გზაზე შეჩერებული, მერე ერთი ბომბი ჩამოუფდია ჩვენს ახლოს, და ხელახლა წრის კეთებას შესდგომია.

სასწრაფოდ მოვშორდით იქაურობას.

თენდებოდა, როცა პოლკი კვლავ დაიძრა. ძალიან ხშირად გვაჩერებენ გზაზე: ხან ყუმბარებით დატვირთული მარხილები გადაგვეღობებიან, ხან ტრაქტორები, რომელნიც უზარმაზარ ზარბაზნებს მიათრევენ. ზოგჯერ ეს ბატარიები შეჩერდებიან, ქვეშეხებს მოაბრუნებენ და სადღაც შორს ისვრიან.

მოსკოვ-ვარშავის ასფალტირებული მაგისტრალის ამ უბანზე, რომელიც სმოლენსკის ოლქსა სჭრის, საითაც გაიხედავ ყველა მხარეს ტყეები მოსჩანან. იმ ზამთარში ჯარით სავსე იყო ეს ტყეები. მტერი უკან იხევდა, წყდებოდა და ირგვლივ იმდენი ყორღანი არა სჩანდა, რამდენიც საფლავი იყო გაჭრილი.

ბინდდებოდა, როცა რაღაც ნაგრევებს წავაწყდით.

* * *

იმ სოფლის სახელი აღარ მახსოვს, თუმცა რა ბედენაა სახელი, როცა თვითონ სოფელი აღარსად იყო. ერთი ქვიტკირის შენობისაგან წინა კედელიღა დარჩენილიყო, და იმ კედელში ჩატანებულ კარს ქარი ყოველ წამს აღებდა და ჰკეტავდა, თითქო ბრაზით მიირახუნესო. შეაღებდი ამ კარს მინდვრის მხრიდან და სახლში კი არ შედიოდი,—ისევ მინდორში გადიოდი. სახლი აღარ იყო. ფერფლი და ნაცარიღა ეყარა ჯერ ისევ თბილ ნახანძრალზე. ბიჭებიც ამ თბილ მიწაზე დაბინავებულიყვნენ ღამის გასათევად. ადრე მოსულებს უკვე ეძინათ. ავტომატი ზოგს გულში ჩაეხუტებინა, ზოგსაც თავქვეშ ამოედო.

ჩვენც აქვე მოვთავსდით

მოვიხვიე თავზე მაზარა და დავიძინე. დახუჭავ თვალებს, ქარი ისევ დაიღმუილებს, გაძვრება სადღაც მაზარის ნოჭებში და ცივად შეგაკრიალებს. ახლაც ამან გამაღვიძა. თვალები გავახილე, ვიღაც წელში მოხრილი კაცი ზის ნანგრევებზე. რაღაცას ბუტბუტებს.

შეჩვეული თვალი ბნელაშიაც ადვილად გაარჩევს, რომ ის სამხედრო არ არის. მაგრამ იმის დასათვალიერებლად აღარ მცალია, ძილს თავს ვეღარ ვართმევ... არ ვიცი, რამდენი ხნის შემდეგ ისევ გამაღვიძა ხმაურმა: აქვე ახლოს გზაზე მარხილში შებმულ ცხენებს დაჰკიოდნენ.

ავიხედე. ის კაცი ისევ ლოდივით გაუბძარევლად იჯდა და ისევ ჩუმად ესაუბრებოდა ვიღაცას.

დამაინტერესა. ყური დავუგდე. რაღაცას სჩიოდა ქარში სიარულზე, იგონებდა თბილ ქოხს, სადაც ფანჯრებ-ჩაკეტილში ზიხარ. მერე წმინდა ფეოდოსს სთხოვდა, თბილი ქარი წამოუბერეო, რომ ზამთარი ზაფხულად იქცეს, რომ ყვავილებმა პირდაპირ ამოარღვიონ თოვლი, ღელეს გაზაფხულისებრ მჩქეფარედ მოაწყდეს წყალიო...

ბინდი ნელნელა იცრიცებოდა და ღილის მკრთალი სინათლე ხატავდა იმ კაცის სახეს: ჯაგარივით აწვლილი წარბ-წამწამი შეჰყინოდა სქელად ფალიანდაგებული შალის ჯუბის ნაოჭები თოვლითა და რთვილით ამოვსებოდა.

ბიჭები წამოშალნენ, თოვლით პირის ბანა დაიწყეს.

უცნობი კვლავ გაუნძრევლად იჯდა. როგორც სურათი ჩარჩოში, ისე სჩანდა ის ამ თოვლიანი სივრცის ფონზე. ეს იყო ნამდვილი სახე რუსი გლეხკაცისა. ასეთი იქნებოდა, ალბათ, მიკული სელიანინოვიჩი, „ბოგატირი“ ბილინისა, მუხასავით ღრმად ფესვებგადგმული მიწაში, როცა ის უხსოვარ დროს, კიევის რუსეთში ამარცხებდა სვიატოგორს, საიდანღაც, უცხო ქვეყნიდან მოსულ რაინდს. ის მიკული, რომელიც მარტო ყანას კი არა ხნავდა, — სოფლები და ქალაქები რომ ამოჰყავდა მიწიდან.

პირველად ლაზარემ დაარღვია მისი მყუდროება:

— რა გინდა აქ? — შეეკითხა ქართველი ჯარისკაცი.

მას პასუხი არ გაუცია.

— ვინა ხარ, კაცო? — კვლავ მიმართა ლაზარემ უჩვეულო სტუმარს.

უცნობმა რაღაც ქარაგმული გადაუთარგმნელი სიტყვების თამაშით უპასუხა. ლაზარემ ვერაფერი გაიგო.

— რა გქვიან, ჩემო ძმაო, სახელი მითხარი შენი, სადაური ხარ, სად მიხვალ, ეს გამაგებინე... მე ლაზარე ვარ, გიორგაძე, ნაბახტეული, ჩემი სოფელი იცი სად არის? ცხრა მთას და ზღვას იქით, — და ლაზარემ არა საქართველოსაკენ, არამედ სადღაც ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, ბალტიისა და ბელორუსიისაკენ გაიშვირა თითი: — შენც ასე პირდაპირ მითხარ, შე კაი კაცო, შენი სოფელი საითაა?

— აი ჩემი სოფელი, — უთხრა უცნობმა და პირველად შეხედა ლაზარეს, თითქოს ბუნებიდან ახლა გამოერკვაო: — ხედავ, აი ტყეში, რომ მოსჩანს, მაღლობზე. ერთი საათის გზაა აქედან. შჩერეპიცზე გაიარ, იმას იქით ჩემი სოფელია, ზამელნიჩე ჰქვიან სახელად... სულ ახლოსაა, მაგრამ აბა სცადე და წადი.

— ჰო, იქ ახლა გერმანელები არიან, — მცირე ფიქრის შემდეგ დაუმატა ლაზარემ.

— ერთი პატარა გზა მიდის იქამდე, — განაგრძო უცნობმა: — მიწყდა იმ გზაზე ფეხის ხმა, დაღლილა ამ ველელ-ჩამველელი. აქაური ვარ, ყველა ბუჩქი ვიცი, არტელის ბრიგადირი ვიყავ, ხელობით მეცხენე. ვასილიჩის სახელით მიცნობს აქ ყველა, გვარად კოსტირინი გახლავართ.

მაზარის ჯიბიდან დურბინდი ამოვიღე და ზამელნიჩეს დავუწყე ცქერა. ერთი გრძელი ქუჩა მოსჩანდა. გზაზე, სახლის წინ, გერმანული ნალმსატყორცნები იყო ჩამწკრივებული, სულ კარგად სჩანდა დურბინდში, როგორ იდგნენ გერმანელი ჯარისკაცები ამ ნალმსატყორცნების ირგვლივ და, სიცივით შეწუხებულნი, ფეხებს სცემდნენ მიწას, ხელებს იქნევდნენ, აქეთ-იქით მიმოდიოდნენ. დურბინდი მერე ახლად გაცნობილ ვასილიჩს გადავეცი. დიდხანს უცქირა თავის სოფელს. არ ვიცი, იქნებ თავის სახლაც ეძებდა, ათვალიერებდა. ბოლოს მომიბრუნდა და მუდარით მომმართა:

— მეც თან წამიყვანეთ, ბიჭებო, აქ ნუ დაგტოვებთ, იქაური ვარ, გზები ვიცი, იარაღის მოხმარებაც შეშეძლია...

ბატალიონმა მოწინააღმდეგე განდევნა გორაკებიდან, გადავიდა იქითა მხარის ფერდობებზე და განიზრახა აქედან მიეტანა იერიში სოფელზე.

გორაკებზე გაცილებით მეტი სიმშრალე იყო. ჯავაძეს დაებადა აზრი, რომ აქ მის წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადმოსვლა შეეძლოთ ტანკებს. მას მოაგონდა ლისტოპადოვი, მიმოიხედა და დაინახა, თუ პოშორებით როგორ ბომბავდნენ გადასასვლელს „იუნკერსები“. მან 19 თვითმფრინავი დათვალა და შეწუხებულმა გაიფიქრა:

— მოასწრო თუ არა უმცროსმა ლეიტენანტმა თავისი ზარბაზნების გადმოტანა?

შემდეგ მიიხედა ჭახლობლად მყოფი ასეულის მეთაური და უბრძანა მებრძოლებს „ანგრებულიყვნენ. სანგრები მხოლოდ სანახევროდ იყო ამოთხრილი, როდესაც წინიდან გამოჩნდა ოთხი „ფერდინანდი“. ისინი შორს ფანტავდნენ სველ მიწას და მოემართებოდნენ მეორე ასეულისაკენ. მებრძოლები მათ ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით შეეგებნენ. მაგრამ ტყვიები ვერაფერს აკლებდა სქელ ჯავშანს.

— დამიხოცავენ ხალხს,—მწარედ გაიფიქრა ჯავაძემ.

„ფერდინანდები“ თავისთავად განსაკუთრებით საშიში არ იყვნენ. მაგრამ მათ ქვეითი ჯარი მოჰყვებოდა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა გაჭრილიყო მდინარისაკენ, მოეწყვიტა ბატალიონი გადასასვლელისათვის, რომელიც ალბათ დაამსხვრიეს ბომბდამშენებმა.

— სად დაიკარგება ხოლმე ყოველთვის ეს ლისტოპადოვი?—სთქვა კაპიტანმა. იმავ წუთს სულ ახლოს „ფერდინანდის“ ყუმბარამ გადაიარა და უკან დაზგის ტყვიამფრქვევი დაამსხვრია. კაპიტანმა მიიხედა. ირგვლივ აღელვებული, ჩაფიქრებული სახეები იყო. მაგრამ სამაგიეროდ იქ, შორს, თავის პოზიციებზე მიდიოდა მეორე ასეული. რამ შესძინა მათ ასეთი ძალა! ისე მიდიან, თითქოს პარადზე არიანო,—გაიფიქრა ჯავაძემ და უცებ გაიგონა ნაცნობი გასროლა მშობლიური 76-მილიმეტრიანი ზარბაზნებისა. დიდიხნის ნანატრი ბატარია უკან საცეცხლე პოზიციაზე იდგა. კაპიტანმა დაინახა ახლად აღარდნილი კვამლი, რომელიც ეხვეოდა ქვემეხთა ლულებს, დაინახა მუშაობაში წახრილი არტილერისტთა ფიგურები.

მეორე გასროლისთანავე მემიზნე პეტროვმა მოარტყა გერმანელთა თვითმავალ ზარბაზანს. იქიდან შავი კვამლის სქელმა ბოლქვებმა ამოხეთქა. დანარჩენი „ფერდინანდები“ ბრძოლას აერიდნენ და უკანვე გაბრუნდნენ.

ბატალიონის მეთაურთან დამნაშავესავით მოირბინა ლისტოპადოვმა და ხელი აუღო:

— მაპატიეთ, რომ დავიგვიანე.

— შენ კი გენაცვალე!—შესძახა კაპიტანმა და მაგრად ჩაიკრა გულში თავით ფეხებამდე ტალახში მოსვრილი არტილერისტი.

უარი ვუთხარი, მაგრამ ვეღარ მოვიშორეთ. ყველგადაგდებით იხვეწებოდა. მერე ლაზარემ, რომელსაც ძალიან მოეწონა ის, ხეზე დაჩხვენილ პარაშუტისაგან ხმლით გამოუჭრა აპრეშუმის თეთრი სანიღბო ხალათი, თავით ფეხებამდე თეთრით შემოსა, ერთი ჭიქა არაყიც დაალევინა და მხიარულად მიმართა:

— სანადიროდ წამოგვყე...

შემდეგ განუმარტა:

— დაზვერვაზე მივდივართ, რასან აქაური ყოფილხარ, გამყოლიც შენ იყავ.

კარაბინი მივეცით ახლად შეძენილ გამყოლს.

* * *

გერმანელები ზამელნიჩეში იყვნენ. მაგრამ მთლიანად თავისუფალი იყო თუ არა შჩერეპიცი, — ეს უნდა შეემოწმებინა დაზვერვას.

ბიჭები მოემზადნენ და გზას გაუდექით.

ჯარი ხანს ვიარეთ ბუჩქნარიან მინდორზე. როცა სოფელ შჩერეპიცს მივაღწიეთ, შეეჩერდით და შორიდან დავუწყეთ თვალთვალი. ეკვე ნათლად მოსჩანდნენ ჩუქურთმიანი წითელი კედლები, მოარშიებული დერეფნები და სახურავზე აქა-იქ ფრთაწეულნ შეღებული ხის მამლები. ღუმელებიდან აქა-იქ კვამლი ამოდიოდა. მაშასადამე, სოფელში ვიღაც იყო, მაგრამ არც სოფლელისა და არც მტრის ჯარისკაცის ლანდი არსად სჩანდა.

ვასილიჩმა წამოიწია და ქუჩაში გავიდა. ჩვენც ფეხდაფეხ მივყევით. არავინ შეგვხვედრია არც სალმით და არც ტყვიით. ხირხალები აფდებული იყო, ჭიშკრები დალეწილი, კარები არსად იყო ჩაკეტილი. ადამიანის ჭაჭანება არ იყო სოფელში, თუმცა ღუმელები ისევ თბილი იყო, საჭმელი იხარშებოდა. ზოგან ახლად გამომცხვარი პურის სუნი იდგა, ზოგან სუფრაც გაშლილი იყო. ეტყობა, სულ ახლახან ყოფილა დისახლისი აქ, ნაფეხურებიც ახალი იყო თოვლზე.

შემაძრწუნებელი იყო ყველაფერი ეს, უმიზეზო შიშის მომგვრელი. ყველაფერი ცხადჭყოფს ადამიანის სიახლოვეს, მაგრამ ადამიანი მაინც არსადა სჩანს. გამქრალან უეცრად, გაუჩინარებულან და, ეტყობა, ფაცი-ფუცით გასცლიან აქაურობას, რომ ხუფრის ალაგებაც ვერ მოუსწრიათ.

შეშფოთებულნი დავდივართ ქუჩებში. ბოლოს ერთ ქოხში, კუთხეში, რადაც ცრცხალი არსება შეინძრა. მივუახლოვდით. სახატის ქვეშ ქვაის ძნაზე ბავშვის ფიროუზისფერ მთელიანი ლოგინი იყო გაშლილი და მასზე რვა თუ ცხრა წლ ბიჭი იწვა. მას ჩვენთვის ყურადღება მოუქცევია, თუმცა შეგვამჩნია. არ ვ თვალები გახელილ ჰქონდა. გულგრილად, განურჩეველი გამოხედვით შესცქეროდა ის თოფ-იარაღში ჩამჯდარ კაცებს, რომელნიც მას თავზე დასდგომოდნენ.

ამ ბავშვის ცივ გამოხედვაში ისეთი განდგომა იგრძნობოდა ყოველივე ცოცხლისა და მიწიერისაგან, ისეთი გაოგნება, რომ ცხადი იყო, მას რაღაც ისეთი უნახავს და განუცდია, რასაც მისი გონება ვერ მორევია.

— სად არიან დედები, პატარავ? — ეკითხება ლაზარე.

ბავშვი სდუმდა.

ლაზარე დაიხარა, ხელები მოჰხვია და აიყვანა, ფანჯრისაკენ გასწია, მერე უცებ გადმოგვხედა და გაოცებულმა დაიძახა:

— დაჭრილი ყოფილა, კაცო!

— დაჭრილი? — ოკითხა რამდენიმე ხმამ.

ასეთი პატარა და დაჭრილი! როცა ვაკაცი დაიჭრება, თითქოს აღარ გიკვირს, ეს კი ბავშვი იყო, ალბათ, რამდენს იტირებდა ადრე, უბრალოდ რომ დაცემულიყო ქუჩაში თამაშის დროს და ლოყა გაეკაწრა. ახლა კი ტყვიადაკრული სისხლისაგან იცლებოდა და მაინც სდუმდა.

შემაძრწუნებელი იყო ეს სურათი, უფრო თავზარდამცემი, ვიდრე ის სახრჩობელები და საფლავები, რომლებიც ჩვენ ფანამდე გვენახა. რომ ატირებულიყო ბავშვი ჩვენს თვალწინ, რომ გაწყრიულდ და საცოდავად ებღავლა, ეს უფრო ნაკლებად შეგვაშფოთებდა.

საშინელება ენახა და გაოგნებულიყო: ბავშვი სულთმობრძავი იყო, მაგრამ ცხოვრებაზე გულგატეხილი კაცივით მშვიდად და უდრტვინველად კვდებოდა.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიდექით. როცა ავიხედე, მზე გადახრილიყო, სხვები ალმაცერად დასცქეროდნენ ქოხის უანჯარას, შემოჭრილიყვნენ ოთახში, ჩაქსოვილიყვნენ მოჩუქურთმებულ ხის ნაოჭებში და ჭეიის ძრის ღერებში, რომლებზეც ის ლოგინი ეფინა. მკრთალ, მიბნეულ შუქს კუთხეში სახატე გაენათებინა. მზის ნათელი დასცემოდთ სახატის ბნელ, მოღუშულ სახეებს.

სახატე ტყვიით იყო დაცხრილული.

— მაშ, ვერავის უნდა ეკითხოთ, რა ღვთის რისხვა დატრიალდა ამ სოფლის თავზე? — დაიძახა გონზე მოსულმა ლაზარემ. — ხალხი რა იქნა, კაცო, სად არის სოფელი?

— სოფელი? — წამოიძახა ვასილიჩმა, რომელიც იქვე ოდგა: — სოფლელები ახლა მიჰყავთ თოვლში, ფეხშიშველნი, აწოოკებულნი, ატირებულნი. ჯოჯოხეთში მიჰყავთ, გერმანიაში... აი იქით, სადღაც ტყეებში, ქანცგაწყვეტილნი, სიცივისაგან შეკრუნჩხულნი ძალსლასვენენ, წყდებიან, იღუპებიან. რით გადაიხდის ამას გერმანელი, რით? რით აანაზღაურებს ამდენ სიკვდილს, ამდენ საფლავს?

ახლა მიხედა ლაზარე, რაც სოფელში მოხდარიყო. ერთბაშად გაშრა კაცი, სატყვა ჩაუწყდა, მერე ძლივს ამოიხრიალა:

— ჰაი, დედასა მტრისასა!

სასწრაფოდ ვაცნობეთ პოლკს, რომ დაზვერვა დამთავრებული იყო. გერმანელები ზამელნიჩეში იყვნენ გაბაგრებულნი. ჩვენსა და მათ შუა პატარა ტყიანი ფერდობიღა იყო დარჩენილი.

ქუჩაში პოლკის ესკადრონები შემოდიოდნენ.

ბმალი შემართული იყო. ახლა მოქნევაღა იყო საჭირო.

ქაპიტან ჯავაძის ბატალიონი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ბორზენკო გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე მოგვითხრობს უკრაინის პირველი ფრონტის ოპერაციების რაიონში მომხდარ შემდეგს ეპიზოდს: უმცროს ლეიტენანტ ლისტოპადოვის ბატარია, რომელიც თან ახლდა კაპიტან ჯავაძის მსროლელ ბატალიონს, გადადიოდა აფეთქებული ხიდის ნანგრევებზე. ხმაურსა და ყვირილში არაფრის გაგონება არ შეიძლებოდა. მემზნე პეტროვმა, მხოლოდ შემთხვევით მიიხედა და დაინახა, რომ გზატკეცილიდან ყოველი მხრიდ გაიშალა ქვეითი ჯარი. მან თავი მაღლა ასწია და ცას შეხედა, ექვსი „იუნკერსი“ პირდაპირ ხიდისაკენ ეშვებოდა.

საშინელი უგზოობის პირობებში არტილერისტები ცხენებს ეხმარებოდნენ ზარბაზნების ზიდვაში. ზელდნენ ნახნავ მინდორს. მუხლებამდე ეფლობოდნენ ალიზ ტალახში, ბატარია ერთხელაც არ ჩამორჩენია ქვეითს ჯარს. როდესაც ეუცილებელი იყო, არტილერისტები მუდამ კაპიტან ჯავაძის განკარგულებაში იმყოფებოდნენ. შეტევა გრძელდებოდა. ყიაღრეს დიდი, ძნელი გზა. ქვეითს ჯართან ერთად ბატარია მდინარეს მიადგა. ღამით დაიწყო ბალმა გასვლა. მსროლელთა პირველმა პარტიამ ისარგებლა ქარბუქით და შეუმჩნეველად გადავიდა მტრის ნაპირზე საკმაოდ სწრაფად კადაიტანეს გადმა ნაპირზე ქვემეხები.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროების სერიიდან ბასილ ეზოსმოძღვრის ნაწარმოები „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.

1923 წელს ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულ ეროს, ე. წ. ჭალაშვილისეულ ხელნაწერში აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ახალი ნუსხა, რომელშიც თამარ მეფის ისტორია წარმოდგენილია არა იმ თხზულებით, რომელიც მანამდე იყო ცნობილი და რომელიც „მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებაშია“ მოთავსებული (ე. წ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“), არამედ სრულიად ახალი, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულებით.

ამ ახალ ნაწარმოებს ი. ჯავახიშვილმა 1923 წელსვე მიუძღვნა წინასწარი გამოკვლევა. შემდეგ ნაწარმოები გაამზადა გამოსაცემად და განზრახული ჰქონდა მისთვის მიეძღვნა ვრცელი გამოკვლევა, მაგრამ მისი დაწერა ვერ მოასწრო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა ეზოსმოძღვრის ნაწარმოები გამოსცა იმგვარად, როგორც იგი ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა გამზადებული და, რადგან სხვა გამოკვლევა განსვენებულ აკადემიკოსს ამ შრომის შესახებ არ დაუწერია, წარუმძღვარა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წ. დაწერილი წინასწარი გამოკვლევა „თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი“.

წიგნის რედაქტორია ს. ყაუხჩიშვილი. გამოცემას დართული აქვს შემოკლებული და ქართულენოვანი სიტყვების განმარტება და საკუთარ სახელთა საძიებელი.

წიგნი შეიცავს 42 გვერდს და ღირს 5 მან.

„ბრძოლა რუსეთისათვის“

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოუშვა დოკუმენტალური ფილმი „ბრძოლა რუსეთისათვის“. ფილმი გვიჩვენებს რუსეთის გმირული ისტორიის ძთავარ მომენტებს, საბჭოთა ხალხის, წითელი არმიის მიერ საშობლოს დაცვას, გერმანელთა არმიების განადგურებას. ფილმი აგებულია იმ კინოქრონიკებზე, რომლებიც ჩვენმა მამაცმა კინოოპერატორებმა ფრონტებზე გადაიღეს.

ფილმის მხატვრული ხელმძღვანელია ფრანკ კაპრა, რეჟისორი— ანტონი უილერი, მუსიკა დასწერა დიმიტრი ტიომკინმა. ფილმის რუსული ვარიანტი მოამზადეს რეჟისორებმა ლ. სტეპანოვამ და მ. სლავინსკიმ.

ლექციები

4 აპრილს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ჰიტლერული გერმანია შეუკავებლად მიექანება კატასტროფისაკენ“.** ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში.

5 აპრილს, სალამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში (ფედერაციის ქ., 2) შესდგება ამხ. **ფანჩულიძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.** დასწრება თავისუფალია.

„ბრძოლა რუსეთისათვის“

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოუშვა დოკუმენტალური ფილმი „ბრძოლა რუსეთისათვის“. ფილმი გვიჩვენებს რუსეთის გმირული ისტორიის ძთავარ მომენტებს, საბჭოთა ხალხის, წითელი არმიის მიერ საშობლოს დაცვას, გერმანელთა არმიების განადგურებას. ფილმი აგებულია იმ კინოქრონიკებზე, რომლებიც ჩვენმა მამაცმა კინოოპერატორებმა ფრონტებზე გადაიღეს.

ფილმის მხატვრული ხელმძღვანელია ფრანკ კაპრა, რეჟისორი— ანტონი უილერი, მუსიკა დასწერა დიმიტრი ტიომკინმა. ფილმის რუსული ვარიანტი მოამზადეს რეჟისორებმა ლ. სტეპანოვამ და მ. სლავინსკიმ.

ლექციები

4 აპრილს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ჰიტლერული გერმანია შეუკავებლად მიექანება კატასტროფისაკენ“.** ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში.

5 აპრილს, სალამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში (ფედერაციის ქ., 2) შესდგება ამხ. **ფანჩულიძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.** დასწრება თავისუფალია.

ბრ. აბაშიძის პოემა რუსულად

„ზარია ვოსტოკას“ გამოუცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა გრ. აბაშიძის ისტორიული პოემა „გიორგი VI“. პოემა რუსულად სთარგმნა რ. ივნევმა. წიგნი, რომლის რედაქტორია ა. აბაშელი, შეიცავს 78 გვერდს და ღირს 6 მან.

„ბრძოლა რუსეთისათვის“

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოუშვა დოკუმენტალური ფილმი „ბრძოლა რუსეთისათვის“. ფილმი გვიჩვენებს რუსეთის გმირული ისტორიის ძთავარ მომენტებს, საბჭოთა ხალხის, წითელი არმიის მიერ საშობლოს დაცვას, გერმანელთა არმიების განადგურებას. ფილმი აგებულია იმ კინოქრონიკებზე, რომლებიც ჩვენმა მამაცმა კინოოპერატორებმა ფრონტებზე გადაიღეს.

ფილმის მხატვრული ხელმძღვანელია ფრანკ კაპრა, რეჟისორი— ანტონი უილერი, მუსიკა დასწერა დიმიტრი ტიომკინმა. ფილმის რუსული ვარიანტი მოამზადეს რეჟისორებმა ლ. სტეპანოვამ და მ. სლავინსკიმ.

ლექციები

4 აპრილს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ჰიტლერული გერმანია შეუკავებლად მიექანება კატასტრო